



**USAID**  
 ამერიკელი სელსისპან



**CZECH REPUBLIC**  
 DEVELOPMENT COOPERATION

# ფიჭოსანიშვარული რეფორმა საქართველოში

საინფორმაციო ქრებული



People in Need - Georgia

საკონტაქტო ინფორმაცია/  
 “ფიჭოლ იმ ნიდ” - საქართველო  
 თბილისი, ბ. ჟიქოძის ქ. # 16  
 ტელ: 032 292 00 15  
 ვებ გვერდი: [www.pin.ge](http://www.pin.ge)





**USAID**  
ამერიკელი საზღვარგარეთის განვითარების სააგენტო



**CZECH REPUBLIC**  
DEVELOPMENT COOPERATION

კრებული მომზადებულია და გამოცემულია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს (CzDA) მხარდაჭერით; მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაცია „ფიფლ ინ ნიდ“ და „სურსათის ეროვნული სააგენტო“ და პუბლიკაციის ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს (CzDA) პოზიციად აღქმა დაუშვებელია;

This Publication was developed and published with support of USAID and and Czech Development Agency. The contents of this Manual are the sole responsibility of “People In Need” and “National Food Agency” and can no way be taken to reflect views of USAID and and Czech Development Agency;



წინამდებარე საინფორმაციო კრებული მომზადებულია პროექტის „ევროკავშირის ფიტოსანიტარული სტანდარტები საქართველოსათვის-საზოგადოების ინფორმირება“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს (CzDA) მიერ;

The Publication was prepared in the framework of the project “Introducing EU Phytosanitary standards to Georgia–Outreach Activity”, funded by USAID and Czech Development Agency.



# შესავალი

2014 წლის ივნისში, ევროკავშირთან (EU) ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში, საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი საავტორო სივრცის შესახებ შეთანხმებას (DCFTA). საქართველოსთვის ასოცირების შეთანხმება, ისევე როგორც DCFTA წარმოადგენს დიდ შესაძლებლობას დიდ შესაძლებლობას დამოუკიდებლად განაწესებს საექსპორტო პოტენციალისა და უცხოური ინვესტიციების ზრდის კუთხით. შეთანხმებები საჭიროებს საქართველოში როგორც ინსტიტუციური და მარეგულირებელი რეფორმების სწრაფ განხორციელებას, ასევე საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციას.

2016 წელს, ჩეხეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ზედამხედველობისა და ტესტირების ცენტრალური ინსტიტუტის (CISTA) ექსპერტებმა განახორციელეს საქართველოში ფიტოსანიტარული სისტემის შეფასება. შედეგებმა აჩვენა, რომ მცენარეთა და მცენარეული პროდუქტების ქართველი მწარმოებლები ვერ ისარგებლებენ ევროკავშირის ქვეყნებში პროდუქციის გატანის იმავე პირობებით, რომლებიც ვრცელდება წვერ სახელმწიფოებზე. ამჟამად საქართველოში არ არსებობს მოქმედი მცენარეთა და მცენარეული პროდუქტების იმპორტირებისა და ექსპორტირების, მოვაჭრეებისა და მწარმოებლების ოფიციალური ნუსხა, ასევე არ ხორციელდება რეგისტრირებული პროდუქციის ჯანმრთელობის პერიოდული შემოწმება. ამასთანავე, არ არსებობს მცენარეთა ჯანმრთელობის სტატუსის დადგენის ან შემოწმებული მცენარეების პასპორტიზაციის სისტემა.

ფიტოსანიტარული კონტროლისა და პროცედურების ამჟამინდელი სისტემა უარყოფითად აისახება სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობაზე და საერთო ჯამში ზღვრავს დარგის სურათის განვითარებას. მიმდინარე სისტემის პირობებში, ფერმერებს არ გააჩნიათ ადეკვატური და სწრაფი ხელმისაწვდომობა სხვადასხვა ფიტოსანიტარულ მონაცემებზე, შესაბამისად ისინი ვერ ფლობენ უტყუარ ტექნიკურ ინფორმაციებს მცენარეთა მავნებლების არსებობასა და რისკებზე. შედეგად, ისინი ვერ უზრუნველყოფენ მცენარეთა და მცენარეული პროდუქტების ჯანმრთელობის შესაბამისობას დადგენილ სტანდარტებთან. ინფორმაციაზე წვდომის ნაკლებობა განსაკუთრებით მტკიცებულ გავლენას ახდენს საერთაშორისო ბაზრებზე გამსვლელ მსხვილ მწარმოებლებზე, იმის გათვალისწინებით, რომ ფიტოსანიტარული სტანდარტები უკვე ვრცელდება მათზე, ხოლო 2020 წლიდან იგივე მოთხოვნება მცირე და საშუალო მწარმოებებსაც.

აღნიშნული ინსტიტუციური და საკანონმდებლო სისუსტეების გათვალისწინებით, CISTA-მ და საქართველოს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ (სეს) 2017 წლის შემოდგომიდან დაიწყო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ფიტოსანიტარული სისტემის, ოფიციალური კონტროლის და პროცედურების გაუმჯობესებას, რათა მოხდეს მათი შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირის სტანდარტებსა და DCFTA-ის მოთხოვნებთან. აღნიშნული სისტემა ხელს შეუწყობს ჯანსაღი მცენარეული პროდუქციის წარმოებას საქართველოს ტერიტორიაზე და საშუალებას მისცემს ქართველ ფერმერებს მოიპოვონ მავნებლებისგან და დაავადებებისგან თავისუფალი, ჯანსაღი მცენარეთა მოსაშენებელი მასალები. ამ მიზნის მისაღწევად, ფიტოსანიტარული სექტორის ადმინისტრაციულ და ტექნიკურ გაუმჯობესებასა და გაძლიერებაში მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია სურსათის ეროვნული სააგენტოს (NFA) როლი, რათა წარმატებით განხორციელდეს ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული ახალი წესებისა და რეგულაციების დაცვა.

მოსალოდნელი ცვლილებების მხარდასაჭერად, პროექტი ითვალისწინებს კომერციულ ფერმერებზე წვდომას და ინფორმაციის გავრცელებას, რათა მოხდეს მცენარეთა და მცენარეული პროდუქტების მწარმოებლების დროული ინფორმირება, ახალი ფიტოსანიტარული სტანდარტების შესახებ, რომელსაც განხორციელებს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „ფიფლ ინ ნიდ“ (People In Need -PIN), ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე კრებულში თავმოყრილია ძირითადი ინფორმაცია მიმდინარე ფიტოსანიტარული რეფორმის, ასევე არსებული ფიტოსანიტარული სტანდარტების და რეგულაციების შესახებ, რომელიც აუცილებლად უნდა იცოდეს მცენარეებისა და მცენარეული პროდუქტების ქართველმა მწარმოებელმა, იმისათვის, რომ გახდეს კონკურენტუნარიანი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე.

დამატებითი ინფორმაცია, საქართველოში მიმდინარე ფიტოსანიტარული რეფორმის მოსალოდნელ შედეგებზე და სარგებელზე გამოქვეყნდება „ფიფლ ინ ნიდ“-ის (People In Need -PIN) მიერ სხვადასხვა ინტერნეტ არხების მეშვეობით, მათ შორის <https://traktor.co>;

## თავი I

### მხანარის, მხანარული პროექტისა და სხვა ფიქსაციის მხარეების, მხარეებისა და სხვა ფიქსაციის მხარეების, მხარეებისა და სხვა ფიქსაციის მხარეების

#### 1. ჩამოსახსნი მხარეები

მცენარეების, მცენარეული წარმოშობის პროდუქტებით და სხვა რეგულირებადი ობიექტებით საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვის მიზნით ქვეყნების მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ ფიტოსანიტარიული სისტემის ჩამოყალიბება და სისტემის მუშაობაზე პასუხისმგებელი, ერთი მაკოორდინირებელი ორგანოს მცენარეთა დაცვის ეროვნული ორგანიზაციის არსებობა (საქართველოში - სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“ სეს), რომელიც პასუხისმგებელია სისტემის ადმინისტრირებისათვის და რომელსაც მკაცრად აქვს განსაზღვრული პასუხისმგებლობის სფეროები.

საერთაშორისო ვაჭრობისას ბარიერების მოხსნისა და კონტროლის პროცედურების გამარტივების მიზნით, ქვეყნებმა უნდა დანერგონ ფუნქციონალურად გამართული ფიტოსანიტარიული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს წარმოებული, ადგილობრივ ბაზრებზე განთავსებული და/ან ექსპორტისათვის გამიზნული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის კეთილსაიმედოობას ფიტოსანიტარიული თვალსაზრისით, რაც ნიშნავს რომ პროდუქცია არ შეიცავს მცენარეთა მავნე ორგანიზმების, მავნებლების, დაავადებებისა და სარეველების გავრცელების საფრთხეს. ხოლო საქართველოში, ფიტოსანიტარიული სისტემის მაკოორდინირებელი ორგანოს - სურსათის ეროვნული სააგენტო“ („სეს“) მიერ გაცემული ფიტოსანიტარიული სერთიფიკატი წარმოადგენს მაქსიმალურად სარწმუნო დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს ტვირთის ფიტოსანიტარულ საიმედოობას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყანაში საიმედო ფიტოსანიტარიული სისტემის ჩამოყალიბება, მეწარმეთა რეგისტრაცია და პროდუქციის სერთიფიცირება ხელს შეუწყობს ქართული წარმოების მცენარეული პროდუქციის ექსპორტს და გაცილებით გაუმარტივებს ქართველ მწარმოებელს საერთაშორისო, არსებულ და ახალ ბაზრებზე, პროდუქციის მოხვედრისათვის საჭირო პროცედურებსა და კონტროლის მექანიზმებს.

ფიტოსანიტარიული სისტემის ჩამოყალიბებისა და საიმედო-ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სისტემაში მაქსიმალურად ჩართულნი იყვნენ, როგორც „სეს“-საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტო და

სფეროს სხვა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციები (მაგ: საბაჟო, სატყეო სააგენტო, ადგილობრივი თვითმმართველობები, ქვეყნის სამეცნიერო და ლაბორატორიული პოტენციალი და ა.შ.), ასევე უშუალოდ მწარმოებლები და დისტრიბუტორები

საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკაა მცენარეების და მცენარეული წარმოშობის პროდუქტების მწარმოებლების და დისტრიბუტორების (მათ შორის, შენახვა, ტრანსპორტირება, ბაზარზე ვაჭრობა და ა.შ.) ზედამხედველობა ფიტოსანიტარული მოთხოვნების შესრულებაზე:

- უშუალოდ პროდუქციის წარმოების ადგილებში (ნაკვეთებში სადაც ხდება პროდუქციის მოყვანა);
- ვეგეტაციის პერიოდში;
- ოფიციალურ რეესტრში მითითებულ ადგილებში;

ფიტოსანიტარიული კონტროლი რეალურად წარმოადგენს არა მწარმოებლისა და დისტრიბუტორების შემოწმების მექანიზმს, არამედ წარმოებაში არსებული ფიტოსანიტარიული მდგომარეობის შეფასებას და მიმართულია მავნე ორგანიზმების კონტროლისათვის.

#### ცნობილია, რომ:

- კულტურული მცენარეების მოყვანისას, მწარმოებლებისათვის მოსავალი მავნე ორგანიზმების ზემოქმედების შედეგად თანმიმდევრულად კლებულობს, რის გამოც მცენარეთა დაცვა აუცილებელია არამარტო მოსავლის დანაკარგების შესამცირებლად, არამედ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობის გაზრდისათვის;
- მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გაუტარებლობა ხელს უწყობს მავნე ორგანიზმების გამრავლებას, რაც იწვევს მოსავლის დანაკარგებს, არა მხოლოდ კონკრეტულ საწარმოო ნაკვეთში, არამედ ხელს უწყობს მცენარეთა მავნე ორგანიზმების გამრავლება/გავრცელებას და მავნე ორგანიზმების რეზერვაციას, რაც თავის მხრივ იწვევს სხვა მწარმოებლების დაზარალებასაც;
- აუცილებელია მცენარეებისა და მცენარეული წარმოშობის პროდუქტების ფიტოსანიტარიული შემოწმებების განხორციელება უშუალოდ საწარმოო ადგილებში. სათანადო შემოწმების განხორციელების მიზნით კი აუცილებელია საწარმოო ნაკვეთების ოფიციალურ რეესტრში რეგისტრაცია;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია განისაზღვროს უფრო დეტალური წესები ფიტოსანიტარულ მოთხოვნებზე და რეგისტრაციაზე იმ მწარმოებლებისა ან სხვა პირებისათვის, რომლებიც ვალდებული არიან დარეგისტრირდნენ. ასევე დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს კონკრეტული და სტანდარტული ვალდებულებები, რომლებსაც მცენარეების, მცენარეული პროდუქტების ან სხვა ფიტოსანიტარიული რეგულირებადი ობიექტების მწარმოებლები უნდა დაეკემდებარონ.

<sup>1</sup>იხ. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბერის დადგენილება №619;

აქვე აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ წარმოების ადგილებში ვეგეტაციის პერიოდში ფიტოსანიტარიული მდგომარეობის შეფასება მოხდება წელიწადში მინიმუმ ერთხელ (კულტურებისა და მათი მავნე ორგანიზმების ბიოლოგიისა და საწარმოო ზონის სტატუსის გათვალისწინებით), რომლის დროსაც მწარმოებელსა და დისტრიბუტორს შეუძლია მიიღოს სპეციალისტის რჩევები და რეკომენდაციები უკეთესი სასოფლო სამეურნეო პრაქტიკის წარმოების მიზნით.

**2. სახელმწიფოსა და ფერმაერების ვაღაპრებზე რეგისტრაციისა და ფიტოსანიტარიული მდგომარეობის შეფასების პროცესში**

**სახელმწიფო უზრუნველყოფა:**

- ☞ ეკონომიკურ საქმიანობათა რეგისტრაციას;
- ☞ ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნას - მცენარეებისა და მცენარეული წარმოშობის პროდუქტის მწარმოებელთა და დისტრიბუტორთა აღრიცხვას;
- ☞ ეკონომიკურ საქმიანობათა რეგისტრაციის მონაცემთა ბაზიდან გათვალისწინებული ბიზნეს ოპერატორების იდენტიფიცირებას;
- ☞ ეკონომიკურ საქმიანობათა რეგისტრაციაში რეგისტრირებული ბიზნესოპერატორის მიერ მითითებული საქმიანობის სფეროს რეალობის გადამოწმებას;
- ☞ ფიტოსანიტარიულ რეგისტრაციაში შესატანი მონაცემების მოძიებას ბიზნეს ოპერატორისაგან (ნაკვეთების ან საწყობების გეგმა, ფართობი, მონაცემები დაგეგმილი, წარმოებული და დასაწყობებული კულტურების შესახებ და ა.შ.);
- ☞ ბიზნესოპერატორთა მონაცემთა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში შეტანას, მათი ბიზნეს საქმიანობის პროფილის დადასტურებისა და ყველა საჭირო საქმიანი ინფორმაციის წარმოდგენის შემდეგ;
- ☞ ოფიციალური კონტროლს ფიტოსანიტარიული მდგომარეობის დასადგენად;
- ☞ ელექტრონული მონაცემთა ბაზის წარმოებასა და განახლებას;

**ბიზნესოპერატორი ვაღაპრები:**

- ☞ სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია ტერიტორიის მესაკუთრისა და ტერიტორიის გამოყენების შესახებ (მცენარეული კულტურა ან კულტურები, ფართობი, მცენარეული პროდუქტის შენახვის ადგილი, ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების ტიპი და მათი დანიშნულება და არსებული აღჭურვილობა);

- ☞ სააგენტოსთვის ინფორმაციის წარდგენის მიზნით აწარმოოს ჩანაწერები:
  - მცენარისა და მცენარეული პროდუქტის მიკვლევადობის შესახებ (მცენარე, მცენარეული პროდუქტი წარმოებულია ან შექმნილია შენახვის (დასაწყობების) მიზნით ან დასარგავად);
  - წარმოების პროცესში ჩატარებული ღონისძიებების, მათ შორის, ვეგეტაციის პერიოდში გამოვლენილი მავნე ორგანიზმებისა და მათ წინააღმდეგ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ;
  - მცენარეთა სიჯანსაღის გაუმჯობესების მიზნით არსებული მდგომარეობის შეფასებისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარების შესახებ;
  - დამუშავებული მცენარის, მცენარეული პროდუქტის ან სხვა ფიტოსანიტარიული რეგულირებადი ობიექტის შესახებ;
  - დამკვეთისთვის გაგზავნილი მცენარის, მცენარეული პროდუქტის ან სხვა ფიტოსანიტარიული რეგულირებადი ობიექტის შესახებ;
  - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აწარმოოს მავნე ორგანიზმების თავიდან ასაცილებლად ჩატარებული დაცვითი ღონისძიებებისა და გამოყენებული მცენარეთა დაცვის საშუალებების აღრიცხვა;
- ☞ უზრუნველყოს სააგენტოს წარმომადგენლების დაშვება სახელმწიფო კონტროლის განსახორციელებლად, ასევე ითანამშრომლოს სააგენტოსთან;
- ☞ სააგენტოს წარმომადგენელს მოთხოვნილი ინფორმაცია მიაწოდოს პირადად, ან აღნიშნულის უზრუნველსაყოფად გამოყოს უფლებამოსილი პირი;
- ☞ შეასრულოს სააგენტოს მიერ მიცემული რეკომენდაციები.

**ფორმაში ჩის მიხედვითაც უნდა აწარმოოს ჩანაწერები ფერმაერმა**  
ფერმერულ მეურნეობაში პესტიციდების გამოყენების სააღრიცხვო ჟურნალი

№	კულტურა, განვითარების ფაზა	მინდვრის ნაკვეთის ადგილმდებარეობა	დამუშავებული ფართობი /ჰა/	გამოყენების თარიღი	პრეპარატის დასახელება, მოქმედი ნივთიერება	ხარჯვის ნორმა, კონცენტრაცია	გამოყენების წესი და მანქანის მარკა	დამუშავების ჯერადობა, მოსავლის აღების თარიღი	დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი
<b>თელის შეწამვლის სპეციალიზებულ ობიექტზე აღრიცხვის ჟურნალი</b>									
№	კულტურა	რაოდენობა	პრეპარატის დასახელება	ხარჯვის ნორმა	გამოყენების თარიღი	დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა		

ფერმერულ მეურნეობებში გამოყენებული აგრო ქიმიკატების აღრიცხვის ჟურნალი

სასოფლო-სამეურნეო კულტურის დასახელება	განყოფიერებული ფართობი (ჰა)	შეტანილი აზოტიანი სასუქები		შეტანილი ფოსფორიანი სასუქი		შეტანილი კალიუმიანი სასუქი		შეტანილი ორგანული სასუქი		შეტანილი სხვა სასუქი	
		სასუქის დასახელება	რაოდენობა (ტონა)	სასუქის დასახელება	რაოდენობა (ტონა)	სასუქის დასახელება	რაოდენობა (ტონა)	სასუქის დასახელება	რაოდენობა (ტონა)	სასუქის დასახელება	რაოდენობა (ტონა)

**3. რეგისტრაციის პროცესში ჩართული უწყებები:**

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალი სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“ - პასუხისმგებელია ეკონომიკური საქმიანობათა რეესტრში ბიზნესოპერატორების რეგისტრაციაზე.
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალი სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“ - პასუხისმგებელია მცენარის, მცენარეული პროდუქტისა და სხვა ფიტოსანიტარიული რეგულირებადი ობიექტის წარმოების, გადამუშავების ან/და დისტრიბუციით დაკავებული ბიზნესოპერატორების რეგისტრაციისათვის საჭირო ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნაზე, წარმოებაზე და განახლებაზე, ასევე რეგისტრირებული ბიზნესოპერატორების სახელმწიფო კონტროლის განხორციელებაზე.



**4. რეგისტრაციის პროცესის აღწერა**

ბიზნესოპერატორის ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციისათვის, სააგენტოში წარდგენილ უნდა იქნას უფლებამოსილი პირის განცხადება ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციის შესახებ და სათანადო წესით შევსებული, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორით გათვალისწინებული ინფორმაცია. ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ელექტრონული სახით და შევსებული უნდა იყოს იმ თანმიმდევრობითა და სიზუსტით, როგორც ეს მითითებულია ზემოაღნიშნულ კლასიფიკატორში. ინფორმაციაში უნდა მიეთითოს სარეგისტრაციოდ მოთხოვნილი საქმიანობის კონკრეტული სახე და მონაცემები სუბიექტის საქმიანობის ადგილის მისამართის შესახებ. ასევე წარდგენილ უნდა იქნას, განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი არ წარმოადგენს დაინტერესებულ პირს.

ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციის ვადაა 1 წელი რეგისტრაციის მომენტიდან. ამ ვადის გასვლა იწვევს რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების ძალადაკარგულობას, თუ დაინტერესებული პირი არ წარმოადგენს მოთხოვნას რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ.

ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციისა და იდენტიფიცირების შემდეგ სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონული სამმართველოების სპეციალისტი დაუკავშირდება ბიზნესოპერატორს, რათა მოახდინოს მითითებული საქმიანობის სფეროების რეალურობის გადამოწმება და ფიტოსანიტარიულ რეესტრში შესატანი მონაცემების მოძიება ბიზნესოპერატორისაგან (ნაკვეთების ან საწყობების გეგმა, ფართობი, მონაცემები დაგეგმილი, წარმოებული და დასაწყობებული კულტურების შესახებ და ა.შ.).

ეკონომიკური საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ იდენტიფიცირებულმა ბიზნესოპერატორმა სასურველია თვითონ მიმართოს სურსათის ეროვნული სააგენტოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მისი საქმიანობა დაკავშირებულია ექსპორტ-იმპორტთან. (მიღებული დადგენილება შეიცავს გარკვეულ უზუსტობებს, რომელთა გამოსწორებაზე უკვე დაწყებულია მუშაობა: ეკონომიკური საქმიანობის რეესტრიდან შეუძლებელია მხოლოდ საქმიანობების მიხედვით ბიზნესოპერატორთა იდენტიფიცირება; შეუძლებელია არაიურიდიული პირის, ანუ გლეხის რეგისტრაცია, რომელიც აწარმოებს საექსპორტოდ განკუთვნილ პროდუქციას. რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ის დარეგისტრირდება ეკონომიკური საქმიანობათა რეესტრში, ანუ გახდება იურიდიული პირი და ა.შ.)



ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციისას მითითებული სფეროების დადასტურებისა და რეესტრში შესატანი მონაცემების მოპოვების შემდეგ სურსათის ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს მცენარის, მცენარეული პროდუქტისა და სხვა ფიტოსანიტარიული რეგულირებადი ობიექტის მწარმოებელი, გადამამუშავებელი ან/და დისტრიბუტორი ბიზნესოპერატორის აღრიცხვას და ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციას. ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის შემდგომ სააგენტოს მიერ დადგინდება რეგისტრირებული ბიზნესოპერატორის საწარმოო ნაკვეთის კონტროლის სიხშირე და არსებული ფიტოსანიტარიული მდგომარეობის შეფასების მიზნით – ყოველწლიური სახელმწიფო ფიტოსანიტარიული კონტროლის გეგმაში ჩასმა.

ყოველი წლის ბოლოს რეგისტრირებულმა ბიზნესოპერატორმა უნდა მიმართოს სააგენტოს, საწარმოო ნაკვეთში ან დასაწყობების ადგილში შემდეგ წელს დაგეგმილი აქტივობის შესახებ, რათა დროულად მოხდეს მისი ნაკვეთის/საწყობის ფიტოსანიტარიული კონტროლის გეგმაში ჩასმა.



## თავი 2

# ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი

### 1. რისთვის არის საჭირო ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი?

დღევანდელ მსოფლიოში გადაადგილებული მგზავრებისა და ტვირთების რაოდენობის გაზრდის გამო მატულობს მცენარეთა მავნე ორგანიზმების გადაადგილებაც, რომელთა შეჭრისა და მასობრივი გავრცელების შედეგების აღმოფხვრაც სახელმწიფოებსა და ფერმერებს ყოველწლიურად მნიშვნელოვანი თანხის ფასად უჯდებათ. კულტურული და ბუნებრივი მცენარეული რესურსების დაცვისათვის ქვეყნებს დადგენილი აქვთ სათანადო ფიტოსანიტარიული ზომები, რომელთა შესრულებისათვის შესაბამისი ფიტოსანიტარიული პროცედურების განხორციელების დასტურადაც ექსპორტიორი ქვეყნები გასცემენ ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატს.

ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი არის რეგულირებადი ობიექტის ფიტოსანიტარიული მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც მომზადებულია მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციით (IPPC) დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

ფიტოსანიტარიული რეგულირებადი ობიექტი განიმარტება, როგორც მცენარე, მცენარეული პროდუქტი ან სხვა ორგანიზმი, დასაწყობების ადგილი, შეფუთვა, სატრანსპორტო საშუალება, კონტეინერი, ნიადაგი ან მასალა, რომელშიც შესაძლებელია არსებობდეს მავნე ორგანიზმი ან/და რომელიც ხელს უწყობს მის გავრცელებას და რომლის მიმართ აუცილებელია ფიტოსანიტარიული ზომების გამოყენება, განსაკუთრებით საერთაშორისო გადაზიდვების შემთხვევაში;

ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი არის ორი სახის:

- ა) ექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი;
- ბ) რე-ექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი.

საქართველოში ფიტოსანიტარიული სერტიფიკატს გასცემს სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“

## 2. რა არის საქრო ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის მისაღებად?

ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი გაიცემა შემდეგი პროცედურების ჩატარების შედეგად, რომლებიც მოიცავს:

- ა) საქონლის თანხმლები დოკუმენტაციის შემოწმებას;
- ბ) ზედამხედველობას - ინფორმაციის მოძიებას, საქონლის წარმოების ადგილზე ადრე ჩატარებული გამოკვლევების, მონიტორინგის შესახებ;
- გ) ინსპექტირებას;
- დ) ექვის არსებობის შემთხვევაში, ნიმუშების აღებას ანალიზისათვის
- ე) საჭიროების შემთხვევაში დამუშავებას.

### ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის მისაღებად საქრო შვედში მოქმედებები:

- ა) იურიდიული პირის შემთხვევაში: ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. საჭიროების შემთხვევაში - სათანადო მინდობილობა/ რწმუნებულება.
- ბ) ფიზიკური პირის შემთხვევაში: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- გ) მომსახურების მოსაკრებელის ქვითარი:

### 3 .სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს„ მიერ მომსახურების განაწილ ვალები და მოსაკრებელი ფიტოსანიტარიული სერტიფიკატებისას:

ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი	ვალები	საფასური
ა) ექსპორტის/რეექსპორტის დროს ფიტოსანიტარიული სერტიფიცირება ტვირთის ფიზიკური შემოწმების გარეშე	5 სამუშაო დღე	25 ლარი
	შაბათ-კვირა ან უქმე დღე	100 ლარი
ბ) ექსპორტის/რეექსპორტის დროს ფიტოსანიტარიული სერტიფიცირება ტვირთის ინსპექტირებით	5 სამუშაო დღე	50 ლარი
	შაბათ-კვირა ან უქმე დღე	100 ლარი
გ) საფოსტო გზაზე მგზავრის ბარგის, ხელბარგის ფიტოსანიტარიული სერტიფიცირება	5 სამუშაო დღე	30 ლარი
	შაბათ-კვირა ან უქმე დღე	100 ლარი

## 4. ფიტოსანიტარიული პროცედურები

**ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი გაიცემა ფიტოსანიტარიული პროცედურების<sup>1</sup> განხორციელების საფუძველზე, იმპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარიული მოთხოვნების გათვალისწინებით!**

უფლებამოსილი პირის მიერ ფიტოსანიტარიული პროცედურები ტარდება ტვირთის მდებარეობის ადგილზე. თუ ტვირთი არ პასუხობს იმპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებს, ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი არ გაიცემა, რის თაობაზეც უფლებამოსილი პირი ატყობინებს განმცხადებელს.

ქვეყნებს აქვთ განსხვავებული ფიტოსანიტარიული მოთხოვნები, რომლებიც განთავსებულია საერთაშორისო ფიტოსანიტარიულ პორტალზე (იხ. ბმული <https://www.ippc.int/en/countries/>). იმ შემთხვევაში თუ სათანადო ინფორმაცია ვებ-გვერდზე არ არის ხელმისაწვდომი, შესაბამისი თხოვნით უნდა მიმართოთ იმპორტიორ ქვეყანაში სავაჭრო პარტნიორებს ან სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტს“.

### როგორ გავიგებოთ ჩვენს საოქროს ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი?

რე-ექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი გაიცემა, თუ:

- ა) ტვირთი იმპორტირებულია ქვეყანაში და შემდგომ ხორციელდება მისი ექსპორტი სხვა ქვეყანაში;
- ბ) დაცულია იმპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარიული მოთხოვნები;
- გ) ტვირთი დასაწყობდა, დანაწევრდა, მოხდა სხვა ტვირთებთან შერევა ან შეფუთვის შეცვლა იმ პირობით, რომ მათ არ განუცდიათ მავნე ორგანიზმებისაგან დასნებოვნება ან კონტამინაცია;

რე-ექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის მისაღებად განაცხადს თან უნდა ახლდეს ტვირთის წარმოშობის ქვეყნის უფლებამოსილი სამსახურების მიერ გაცემული ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი ან მისი დამოწმებული ასლი. რე-ექსპორტის შემთხვევაში, ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის დედანი ან მისი დამოწმებული ასლი მიყვება ტვირთს. ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატში მითითებული უნდა იყოს ტვირთის წარმოშობის ქვეყანა. თუ ტვირთი შემოსულია ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გარეშე და დანიშნულების ქვეყანა ითხოვს აღნიშნულ პროდუქციაზე ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატს, გაიცემა ექსპორტისას გასაცემი ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი, შესაბამისი პროცედურების დაცვით.

<sup>1</sup>ფიტოსანიტარიული პროცედურა – ფიტოსანიტარიული ზომების გამოყენების მეთოდი, რომელიც მოიცავს რეგულირებადი მავნე ორგანიზმის მიმართ ინსპექტირების, ანალიზის, ზედამხედველობის ან დამუშავების ჩატარებას;

რე-ექსპორტის ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატზე დამატებითი დეკლარაცია უნდა ეფუძნებოდეს რე-ექსპორტის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებებს და მასში არ უნდა მოხდეს ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ორიგინალიდან ან მისი დამოწმებული ასლიდან დამატებითი დეკლარაციის გადმოწერა.

**ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი უნდა იყოს დედანი ან, განსაკუთრებულ შემთხვევებში, გამცემი ორგანოს მიერ დამოწმებული ასლი.**



**5. საქართველოში ფიტოსანიტარიული სერტიფიკატები  
გაცემა შეეძლება სახის საქონელზე:**

სეს ესნკოდი	პოზიციის დასახელება
<b>ჯგუფი 06. ცოცხალი ხეები და სხვა მცენარეები ; ბოლქვები , ფესვები დამცენარეების სხვა ანალოგიური ნაწილები ; მოჭრილი ყვავილები დადეკორატიული ბალახი</b>	
0601	ბოლქვები, ტუბერები, ტუბერისებრი ფესვები, ტუბერბოლქვები, ფესურები, განშტოების ჩათვლით, ვეგეტაციური სიმწვდის, ვეგეტაციის ან ყვავილობის მდგომარეობაში ; მცენარეები და ვარდკაჭკაჭ ფესვები, 1212 სასაქონლო პოზიციის ფესვების გარდა :
0602	დანარჩენი ცოცხალი მცენარეები ( მათი ფესვების ჩათვლით ), კალმები და გადანაწევნები ; გარდა სოკოს მიცელიუმისა
0603	მოჭრილი ყვავილები და კოკრები , თავიუღების შესადგენად ან დეკორატიული მიზნებისათვის ვარგისი , ახალი ; გარდა გამზარის, შეღებულის, გათეთრებულის, გაყენილის ან სხვა ხერხით მომზადებულისა
0604	ფოთლები , ტოტები და მცენარეების სხვა ნაწილები უყვავილებოდ და უკვირტეზოდ, ბალახები , ხავსი და ლიქენი , თავიუღების შესადგენად ან დეკორატიული მიზნებისათვის ვარგისი, ახალი ; გარდა გამზარის, შეღებულის, გათეთრებულის, გაყენილის ან სხვა ხერხით მომზადებულისა
<b>ჯგუფი 07. ბოსტნეული და ზოგიერთი მირნაყოფები და ბოლქვნაყოფები</b>	
0701	კარტოფილი ახალი ან გაცივებული
0702 00 000 00	პომიდორი ახალი ან გაცივებული
0703	ხახვი , თავიანი , ხახვი - შალოტი , ნიორი , პრასი და დანარჩენი ხახვისნაირი ბოსტნეული , ახალი ან გაცივებული
0704	თავხვეული კომბოსტო , ყვავილოვანი კომბოსტო , კოლრაბი , ქეყრა კომბოსტო და Brassica გვარის საკვები ანალოგიური ბოსტნეული , ახალი ან გაცივებული
0705	სალათი - ღორის ქადა (Lactuca Sativa) და ვარდკაჭკაჭა (Cichorium spp.), ახალი ან გაცივებული
0706	სტაფილი , თაღამი , სუფრის ჭარხალი , თხისწვერა , ფესვურა ნიახური , ბოლოვი და სხვა ანალოგიური საკვები მირნაყოფები , ახალი ან გაცივებული
0707 00	კიტრი და კორნიშონები , ახალი და გაცივებული
0708	პარკოსანი ბოსტნეული , დაჩურჩული ან დაუჩურჩავი , ახალი ან გაცივებული
0709	ბოსტნეული დანარჩენი , ახალი ან გაცივებული

0712 90 110 00	შაქრიანი სიმინდი (Zea mays var. saccharata) ჰიბრიდული დასათესად
0713	პარკოსანი ბოსტნეული ხმელი , დაჩურჩული , სათესლე ქერქისაგან გაცილი ან გაუცვლილი , დამტვრეული ან დაუმტვრეული
0714	მანიოკი , მარანთა , სალუკი , მიწის მსხალი , ანუ ტოპინამბური , ტკბილი კარტოფილი , ანუ ბატატი და სხვა ანალოგიური მირნაყოფები და ბოლქვნაყოფები სახამებლის ან ონულინის მაღალი შემცველობით , ახალი , გაცივებული ; გარდა გაყინულის ან ხმელისა , მთელი ან დაჭრილი პატარა ნაჭრებად ან განაწილების სახით ; საგონ პალმის ნაყოფის გული
<b>ჯგუფი 08. საკვებად ვარგისი ხილი და კაკალი . ციტრუსების კანი ან ნესვისქერები</b>	
0802	კაკალი დანარჩენი , ახალი ან ხმელი ნაჭუჭკაუცვლილი , გარდა ნაჭუჭკაცილილი კანი ან კანის გარეშე
0804 - დან	ფინიკი , ლეღვი , ანანასი , ავოკადო , გუიავა , მანგი და მანგოსტანი , ანუ გარცინია , ახალი
0805- დან	ციტრუსები , ახალი
0806- დან	ყურძენი , ახალი
0807	ნესვი ( საზამთროს ჩათვლით ) და პაპაია , ახალი
0808	ვაშლი , მსხალი და კომში , ახალი
0809	გარგარი , ალუბალი და ბალი , ატამი ( ნექტარინების ჩათვლით ) , ქლიავი და ღონღოში , ახალი
0810	ხილი დანარჩენი , ახალი
<b>ჯგუფი 09. ყვა , ჩაი , მატე , ანუ პარაგვაის ჩაი და სანელებლები</b>	
0901 11 000 00	ყვა მოუხალავი , კოფეინით
<b>ჯგუფი 10. მარცვლოვნები</b>	
1001	ხორბალი და მესლინი
1002	ჭვავი
1003	ქერი
1004	შვრია
1005	სიმინდი
1006	ბრინჯი
1007	სორგო მარცვლოვანი
1008	წიწიბურა , ფეტვი და თესლი ჩიტფესვასი ; დანარჩენი მარცვლოვანი
<b>ჯგუფი 12. ზეთიანი მცენარეების თესლები და ნაყოფები ; დანარჩენი თესლები ; ნაყოფები და მარცვალი ; სამკურნალო მცენარეები და მცენარეებიტექნიკური მიზნებისათვის ; ჩალა და ფურაყი</b>	
1201 00	სოიოს ცერცი , დამსხვრეული ან დაუმსხვრეული
1202	არაქისი , მოუხალავი ან რაიმე სხვა მეთოდით მოუმზადებელი , დაჩურჩული ან დაუჩურჩავი , დამსხვრეული ან დაუმსხვრეული
1204 00	თესლი სელისა , დამსხვრეული ან დაუმსხვრეული
1205	თესლი რაფისისა , ანუ კოლზისა , დაუმსხვრეული
1206 00	თესლი მზესუმზირასი , დაუმსხვრეული
1207	თესლი და ნაყოფები სხვა ზეთიანი კულტურებისა , დაუმსხვრეული
1209	თესლი , ნაყოფი და სპორები სათესად
1211- დან	შემდეგი მცენარეების ყვავილის მტვერი : ყვავიყვამლა (Amelanchier Med.), იაპონური კომში (Chaenomeles Lindl.), ვაშლანა (Cotoneaster Ehrh.), კუნელი (Crataegus L.), კომში (Cydonia Mill.), იაპონური ზღმარტი (Eriobotrya Lindl.), ვაშლი (Malus Mill.), ზღმარტი (Mespilus L.), ჩიტავამლა (Pyracantha Roem.), მსხალი (Pyrus L.), თამელი (Sorbus L.) და ფოტინია დევიდსონის (Photinia davidiana (Dcne.))
1212- დან	ვარდუხტის ხის ნაყოფი და თესლი , ზღისა და დანარჩენი წყალმცენარეები , შაქრის ჭარხალი და შაქრის ლერწამი , ახალი , გაცივებული , ნაყოფის კურკები
1213 00 000 00	ჩალა და მზე მარცვლოვლისა , დაუმზავებელი , დაქუცმაცებული ან დაუქუცმაცებელი , დაფუჭილი ან დაუფუჭავი , დაბრესილი
1214	თაღამურა , საფოთლე ჭარხალი ( მანგოლი ) , პირუტყვის საკვები მირნაყოფები , თივა , იონჯა , სამყურა , ესპარგეტი , პირუტყვის საკვები კომბოსტო , ხანჭკოლა . ცერცველა და ანალოგიური საკვები პროდუქტები , არაგრანულირებული
<b>ჯგუფი 14. მცენარეული მასალები წნული ნაკეთობების დასამზადებლად ; მცენარეული წარმოშობის დანარჩენი პროდუქტები , სხვა ადგილასდაუსახელებელი ან ჩურთველი</b>	
1404 20 000 00	ბამბის ფთილა



1404 90 000 00 - დაწ	იზოლირებული ქერქი : 1) ვერხვის (Populus L.) და მუხის ( Quercus L.) ( გარდა შემდეგი სახეობებისა Quercus suber L., Acer sahharum Marsh.). 2) წიწვოვნების (Coniferales)
<b>ჯგუფი 18. კაკაო და პროდუქტები მისგან</b>	
1801 00 000 00	კაკაოს მარცვალი , მთელი ან ნედლი , გარდა დამსხვრეულისა
<b>ჯგუფი 24. თამბაქოს და თამბაქოს სამრეწველო შემცველები</b>	
2401	თამბაქოს ნედლეული ; თამბაქოს ნარჩენები
<b>ჯგუფი 44. მერქანი და მისი ნაწარმი ; ხის ნახშირი</b>	
4401	სათბობი ხე - ტყე , მორების , კუნძების , როკების , ფიჭვის კონების ან ანალოგიური სახით ; ნაფოტი ან ბურთულა; ნახეხი და ხის ნარჩენები, აგლომერირებული ან არააგლომერირებული, მორების , ბრიკეტების , გრანულებისა ან ანალოგიური სახით
4403	ხე - ტყის მასალა დაუმუშავებელი , ქერქიანი ან უქერქო ან ნაქურთვი , ან ტლანქად დამუშავებული ან დამკვლის გარეშე
4404	მერქანი საკასრე ; მორები დაბოხილი ; ხის ხიმინჯები , სარები და ბოძები , წამახული , მაგრამ სიგრძე და უხერხავი ; ხე - ტყის მასალა ტლანქად გათლილი , მაგრამ გაუჩარხავი , გაულუნავი ან სხვა წესით დაუმუშავებელი , გამო საყენებელი ხელჯობების , ქოლგების , ინსტრუმენტების სახელურებისა ან ანალოგიური ნაწარმის დასამზადებლად ; მერქანი ქერქგაცილი და ანალოგიური
4406 10 000 00	ხის შვალეები რკინიგზის ან ტრამვაის ლიანდაგებისათვის , გაუქვინთავი
4407	ხე - ტყის მასალა გასწვრივ დახერხილი ან დაბოხილი , შრეებად გაყოფილი ან შპონხადილი , გარანდული ან გაურანდავი , გახეხილი ან გაუხეხავი , ტორსული შეერთების მქონე ან არმქონე , სისქით 6 მმ - ზე მეტი
4409	დახერხილი ხე - ტყე ( პარკეტის თამასებისა და ფრიზის ჩათვლით , აუწყობელი ) დაპროფილებული პავინაჟის სახით ( ქიმებით , თხემებით , ღარებით , ნარანდიანი , ჩამოთლილი კიდებით , ნახევრად მომრგვალებული ნარინანდის შეერთების სახით , ფასონური , მომრგვალებული ან ანალოგიური ) , ნებისმიერი ნაწიბურის ტორსის ან სიბრტყის გასწვრივ , გარანდული ან გაურანდავი , გახეხილი ან გაუხეხავი , ტორსული შეერთების მქონე ან არმქონე
4415	ყუთები , კოლოფები , შესაფუთი კალათები , გოდრები და ანალოგიური ტარა მერქნისაგან ; ხის საკაბელო ბარაზები ; ქვემები , ქვემები ბორტებით და ხის სხვა ჩამტვირთი ფარები ; ხის კარბები ; გარდა ფიტოსანიტარიული ზომების საერთაშორისო სტანდარტი (ISPM) №15- ის შესაბამისად მარკირებული , ასევე , სისქით 6 მმ - ზე ნაკლები , ასევე , დამზადებული წებოს , სითბოს , წნევის გამოყენებით , ან ჩამოთვლილი მეთოდების კომბინირებით , ტარისა და შესაფუთი მასალებისა
4416 00 000 00	კასრები , ხელკასრები , როფები , გეჯები და სხვა საკასრე ნაწარმი და მათი ნაწილები მერქნისაგან , ტყეის ჩათვლით
<b>ჯგუფი 45. კორი და მისი ნაწარმი</b>	
4501 10 000 00	— ნატურალური კორი დაუმუშავებელი ან პირველადი დამუშავებით
<b>ჯგუფი 52. ზამბა</b>	
5201 00	ზამბის ბოჭკო , კარდ - ან სავარცხნად დაუქუჩავი
<b>ჯგუფი 53. დანარჩენი მცენარეული ტექსტილის ბოჭკო ; ქაღალდის ნართი დეკალდის ნართის ქსოვილები</b>	
5301	ნედლი სელი ან სელი დამუშავებული , მაგრამ დაურთავი ; სელის ანარჩები და ნარჩენები (დართვის ნარჩენებისა და გაქუჩილი ნედლეულის ჩათვლით )
5303	ჯუთის ბოჭკო , დაურთავი ; ამ ბოჭკოს ანარჩები ან ნარჩენები
5305 00 000 00	ბოჭკო ქოქისის კაკლის , აბაის ( მანილის ქერელი ან Musa textilis Nee), რამისა და ტექსტილის სხვა მცენარეული ბოჭკოები , სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი , ხამი ან დამუშავებული , მაგრამ დაურთავი ; ამ ბოჭკოების ანარჩები დანარჩენები ( დართვის ნარჩენებისა და გაქუჩილი ნედლეულის ჩათვლით )
<b>ჯგუფი 94. ასაწობი სამშენებლო კონსტრუქციები</b>	
9406 00 200 00	— მერქნისაგან
	ხის წინასწარ დამზადებული ნაგებობები
<b>შენიშვნა:</b>	
1) ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი არ მოითხოვება მცენარეული პროდუქტებისათვის , რომელთაც ისეთი სახის გადაამუშავება გაიარეს , რომ პოტენციურად არ შეიძლება შეიცავდნენ რეგულირებადი მავნე ორგანიზმების ინტროდუქციის რისკს.	
2) მცენარეები , მცენარეული პროდუქტები და სხვა მასალები , თავისუფალი უნდა იყოს საკარანტინო მავნე ორგანიზმებისაგან.	

**6. სერტიფიკატების გაცემა:**

ა) თუ ტვირთი ქვეყნის ტერიტორიაზეა: ექსპორტიორის მოთხოვნით, ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი უნდა შეიცვალოს გამცემი ორგანოს მიერ, რომლის მიერ შეცვლილი სერტიფიკატი ძალადაკარგულად ცხადდება და დგება აქტი ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაუქმების შესახებ. გამცემ ორგანოს ექსპორტიორის მიერ უბრუნდება გაუქმებული ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ორიგინალი და დამოწმებული ასლები.

ბ) თუ ტვირთმა დატოვა ქვეყანა ან სერტიფიკატი დაიკარგა/ თუ სერტიფიკატი არ არის ხელმისაწვდომი: შეცვლილი სერტიფიკატის დამატებით დეკლარაციაში (გრაფა №11) უნდა აღინიშნოს გაუქმებული სერტიფიკატის ნომერი და გაცემის თარიღი. ახალ ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატს არ უნდა ჰქონდეს იგივე ნომერი, რაც შეცვლილს.

**ქვეყნის ტერიტორიიდან ტვირთის გატანის ვადის განსაზღვრისას, გათვალისწინებული უნდა იყოს გაუქმებული სერტიფიკატის გაცემის თარიღი.**

**ფიტოსანიტარული სერტიფიკატის მისაღებად უნდა შეივსოს განცხადების ფორმა:**

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო Ministry of Agriculture of Georgia LEPL National Food Agency საქსპორტო მენარეულისა და მცენარეული პროდუქტების ინსპექტირების განყოფილება და შტაბიდან		განმცემი ვადის I-11 ვარდებს ინსპექტირის ვადებს 12-17 ვარდებს
რეზოლუცია:		N
1 ექსპორტიორის სახელი და მისამართი შპს „აგრონიმი“, ქ. თბილისი, ვორკასლის ქ.13	2 განმცხადებლის (ან ექსპორტიორის ავტორის) სახელი და მისამართი, ტელეფონის ნომერი ვასილ ჯავახიშვილი, ქ.თბილისი, ვორის ქ.11, ტელ:533333333	
3 იმპორტის ქვეყანაში ტვირთის მიმღების სახელი მისამართი 34 Pasba str. 1111 Istanbul, TURKEY, LTD "Agroservice"	4 ტვირთის მდებარეობის, ინსპექტირების ადგილი თბილისი, ვორონიჟის, არსენის ქ.14	
5 ექსპორტის სავარაუდო თარიღი 20.03.2016 წ	6 მოთხოვნილი სერტიფიკატის ტიპი ექსპორტის რეკლამის	
7 საექსპორტო ტვირთის აღწერილობა ა) პროდუქტის დასახელება, რაოდენობა, ბოტანიკური სახელი	ზაფხულიანი, 20 000 კგ. <i>Solanum melongena</i>	
ბ) შეფუთული ადგილების რაოდენობა და აღწერილობა	3/3 ტომრები, 450 ცალი	
გ) განსაკუთრებული ნიშნები	ტვიკტი შპს-ს ლოგოთი	
დ) გატანადებული წარმოშობის ადგილი	საქსპორტო, მარნეულის მუნიციპალიტეტი	
ე) ინფორმაცია განმცხადებლის და ან საექსპორტო ტვირთის შესახებ	საქსპორტო ტვირთის შესახებ განცხადებაში მითითებული ინფორმაციის ნაწილობრივ შესაბამისად	
8 ტრანსპორტირების საშუალება სატვირთო ავტომანქანა	საქსპორტო ტვირთის შესახებ განცხადებაში მითითებული ინფორმაციის ნაწილობრივ შესაბამისად	
9 შეტანის პერმეტი სარევი	10 ექსპორტიორის (განმცხადებლის ან ექსპორტიორის ავტორის) ხელმოწერა	11 თარიღი 16.03.2016
შენიშვნა: უკრძა იქნება ინსპექტირების განმარტოვებული პირის მიერ		
12 ტვირთის მდებარეობა თბილისი, ვორონიჟის, არსენის ქ.14, საწყობი	13 ადგილი ნომრების რაოდენობა 5 კგ	14 დასრულებული ნომრების რაოდენობა არა
15 ინსპექტირების შედეგები ტვირთის ინსპექტირებისას არ გამოვლენილა ინფორმაციის საკარანტინო მავნე ორგანიზმი ან მისი არსებობის ნიშნები		
16 დამატებითი ინფორმაცია აღებული ნიმუშები ინსპექტირების შემდეგ დაუბრუნდა ტვირთის მფლობელს.		
17 ხელმოწერა	18 ინსპექტირების თარიღი და დრო	

ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ნიმუში



1.საქართველოს მცენარეთა დაცვის ორგანიზაცია Plant Protection Organization of Georgia	2.მცენარეთა დაცვის ორგანიზაცია to Plant Protection Organization(s) of	3.ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი PHYTOSANITARY CERTIFICATE  N
I ტვირთის აღწერილობა DESCRIPTION OF CONSIGNMENT		
4.ექსპორტიორის დასახელება და მისამართი Name and address of exporter	5.ტვირთის მიმღების დასახელება და მისამართი Name and address of consignee	
6.წარმოშობის ადგილი Place of origin	7.დეკლარირებული სატრანსპორტო საშუალებები Declared means of conveyance	8.დეკლარირებული მუქანის პუნქტი Declared point of entry
9.გაცხადებული პროდუქციის დასახელება და რაოდენობა Name of produce and quantity declared	10.მცენარეულის ბოტანიკური დასახელება Botanical name of plants	
11.შეფუთვების აღწერილობა და რაოდენობა Number and description of packages	12.განსაკუთრებული ნიშნები Distinguishing marks	
13.დანიშნული დაცურდება, რომ ამ სერტიფიკატი აღწერილ მცენარეებს, მცენარეულ პროდუქციას ან სხვა რეგულირებად ობიექტებს ჩატარდათ ინსპექტირება ან/და ანალიზი აღიარებული პროცედურების შესაბამისად და, თანხვედრა ხელშეწყვილი იმპორტიორი მხარის მიერ განსაზღვრული საკანსტრო მცენარეული ორგანიზაციისგან და ასეუბნის ხელშეწყვილი იმპორტიორი მხარის ფიტოსანიტარიული მოთხოვნებს, მათ შორის, რეგულირებადი არასაკანსტრო მცენარეული ორგანიზაციების მხარით. This is to certify that the plants, plant products or other regulated articles described herein have been inspected and/or tested according to appropriate official procedures and are considered to be free from the quarantine pests specified by the importing contracting party and to conform with the current phytosanitary requirements of the importing contracting party, including those for regulated non-quarantine pests.		
II დამატებითი დეკლარაცია ADDITIONAL DECLARATION		
III გაუსწორებლობა და/ან სადეზინფექციო დამუშავება DISINFESTATION AND /OR DISINFESTION TREATMENT		
14.დამუშავების თარიღი Treatment date	15.დამუშავების სახე Treatment	16.დამატებითი ინფორმაცია Additional information
17.ხანგრძლივობა და ტემპერატურა Duration & temperature	18.კონცენტრაცია Concentration	19.ქიმიკატი (მოქმედი ნივთიერება) Chemical (active ingredients)
20.გაცემის ადგილი Place of issue	22.ორგანიზაციის ბეჭედი Stamp of organization	23.უფლებამოსილი პირის გვარი Name of authorized person
21.თარიღი (დღე, თვე, წელი) Date (day, month, year)		ხელმოწერა Signature
Non financial liability with respect to this certificate shall attached to the Plant Protection Organization of Georgia or to any of its officers or representatives		

თავი 3  
ჯანსიფიკატი და სასუქები

საქართველო აგრარული ქვეყანაა, მისი მრავალფეროვანი ნიადაგური საფარი და კლიმატური პირობები სოფლის მეურნეობის მრავალფეროვნებას განაპირობებს. 49 ნიადაგურ ტიპზე განთავსებულ ერთწლიან და მრავალწლიან სასოფლო სამეურნეო კულტურებს მრავალი მავნე ორგანიზმი აზიანებს, რომლებიც იწვევენ კულტურულ მცენარეთა მოსავლისა და მცენარეული ბიომასის მნიშვნელოვან დანაკარგებს.

ქვეყნის ეკონომიკური კეთილსამედობისათვის მეტად მნიშვნელოვანია მათი დაცვა მავნე ორგანიზმებისაგან და მიღებული მოსავალის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

საქართველოს სასოფლო სამეურნეო წარმოებაში მცენარეთა მავნე ორგანიზმებისაგან დასაცავად გამოიყენება ბრძოლის ინტეგრირებული მეთოდი, რომლის მთავარი პრინციპია მავნებლებთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდების (აგროტექნიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, მექანიკური) გონივრული შერწყმა, რაც ითვალისწინებს მავნებლის კომპლექსის იმ უსაფრთხო დონეზე შენარჩუნებას, რომელიც მინიმალურად საშიში იქნება მცენარისთვის.

1. ჯანსიფიკატი და მათი კლასიფიკაცია

საერთაშორისო პრაქტიკაში მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებები იწოდება პესტიციდებად. მათი მოქმედება გაპირობებულია ბიოლოგიური აქტივობით, რის გამოც მათ შეუძლიათ ტოქსიკურად (მომწამვლელად) იმოქმედონ არა მარტო მავნე ორგანიზმებზე, არამედ გარემოს ობიექტებზე, სასარგებლო ორგანიზმებზე და ადამიანზეც.

**პესტიციდები** – ქიმიური ან ბიოლოგიური პრეპარატებია, რომლებიც გამოიყენება მცენარეთა დაავადებებისა და მათი გადამტანების, მავნებლებისა და სარეველა მცენარეების, შენახული სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაავადებებისა და მავნებლების, მღრღნელების, ცხოველთა პარაზიტების წინააღმდეგ, აგრეთვე მცენარეთა ზრდის რეგულირებისათვის, მოსავლის ადების წინ მცენარეთათვის ფოთლების მოსაცილებლად (დეფოლიანტები) და მცენარეების შესახმობად (დესიკანტები), საცავების, საწყობების, სატრანსპორტო საშუალებების, სათბურების, ნიადაგის, მცენარეული და ფიტოსანიტარიული კონტროლს დაქვემდებარებული სხვა პროდუქციის გაუსწორებლობისათვის<sup>1</sup>;

პესტიციდების კლასიფიკაცია:

**ქიმიური შედგენილობის მიხედვით** პესტიციდები იყოფა არაორგანულ, ორგანულ და მცენარეული წარმოშობის (პირეტროიდები) ჯგუფებად;

☞ არაორგანულ პესტიციდებს მიეკუთვნება გოგირდისა და სპილენძის შენაერთები, ქლორატები და ბორატები;

<sup>1</sup>საქართველოს კანონი პესტიციდების და აგროქიმიკატების შესახებ

- ☞ ორგანული პესტიციდები ყველაზე დიდი ჯგუფია და მასში შედის ქლორორგანული შენაერთები, ფოსფორორგანული შენაერთები.
- ☞ მცენარეულიწარმოშობის პესტიციდებს (პირეტროიდებს) მიეკუთვნება - ბიფენტრინი, ბიორესმეტრინი, ბეტა-ციფლუტრინი, ლამბდა-ციგალოტრინი, ციპერმეტრინი, ალფა-ციპერმეტრინი, ზეტა-ციპერმეტრინი, დელტამეტრინი, ესფენვალერატი, პერმეტრინი, ტაუ-ფლუვალინატი, რესმეტრინი, ფლუციტრინატი

**საწარმოო კლასიფიკაციის მიხედვით** პესტიციდები ზოგადად შემდეგ ჯგუფებად იყოფიან:

- ☞ ინსექტიციდები - მავნე მწერების წინააღმდეგ მოქმედი პრეპარატები;
- ☞ აკარიციდები - მავნე ტკიპების წინააღმდეგ;
- ☞ როდენტიციდები - (ზოოციდები) მავნე მღრნელების წინააღმდეგ;
- ☞ ფუნგიციდები - სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ გამოსაყენებელი საშუალებები;
- ☞ ჰერბიციდები - სარეველა მცენარეების მოსასპობად ხმარებული პრეპარატები;
- ☞ ატრაქტანტები - ფერომონები-მწერების მისაზიდი საშუალებები;
- ☞ რეპელენტები - მწერების დამაფრთხობლები;
- ☞ ფუმিგანტები - ორთქლისა და გაზის მდგომარეობაში გადაყვანილი პესტიციდები.

**კლასიფიკაცია საფრთხეების მიხედვით<sup>2</sup>:**

- ☞ IA კლასი - განსაკუთრებულად საშიში;
- ☞ IB კლასი - ძლიერ საშიში;
- ☞ II კლასი - ზომიერად საშიში;
- ☞ III კლასი - ნაკლებად საშიში;
- ☞ U - არ იწვევს მწვავე მოწამვლის საშიშროებას ნორმალური ხმარებისას;
- ☞ არ კლასი - ფუმიგანტები არ კლასიფიცირდება.

აღსანიშნავია რომ, საქართველოში არ გამოიყენება IA კლასი - განსაკუთრებულად საშიში და IB კლასი - ძლიერ საშიში კლასის პესტიციდები, გარდა ამისა საქართველოს მთავრობის, 2013 წლის 13 ივნისის #263 დადგენილების მიხედვით აკრძალულია მთელი რიგი პესტიციდების ქვეყანაში იმპორტი და მოხმარება.

**2. ანთიციდების შენახვა, ტრანსპორტირება/გადაზიდვა, გამოყენების მოთხოვნები:**

მცენარეთა დაცვის თანამედროვე პრინციპების აუცილებელი პირობა და სავალდებულო მოთხოვნა პესტიციდების სწორი და გონივრული გამოყენებაა, რაც გულისხმობს უსაფრთხოების წესების დაცვას მათი ტრანსპორტირებისას, შენახვისა და მოხმარებისას!

მოქმედი კანონმდებლობით პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შენახვა, ტრანსპორტირება, რეალიზაცია და გამოყენების წესები რეგულირდება საქართველოს მთავრობის, 2013 წლის 31 დეკემბრის #451 დადგენილებით მიღებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

<sup>2</sup>კლასიფიცირებულია ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) კლასიფიკატორის მიხედვით

**ანთიციდების შენახვა:**

- ☞ პესტიციდები შენახული უნდა იყოს ყველა აუცილებელი წესების დაცვით, რომლებიც მითითებულია პესტიციდის ტარის ეტიკეტზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი უფარვის გახდება მოხმარებისათვის;
- ☞ პესტიციდი უნდა დასაწყობდეს გრილ, მშრალ, სინათლისგან დაცულ, კარგად განიავებად, ადამიანებისა და ცხოველებისგან მოშორებულ დახურულ შენობაში, ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას, კვების პროდუქტების, მედიკამენტების, ცხოველთა საკვების, საყოფაცხოვრებო და ქიმიური საშუალებებისგან განცალკევებით!
- ☞ პესტიციდების შესანახად არ უნდა იქნას გამოყენებული საკვები პროდუქტების, სასმელების ჭურჭლები ან ბოთლები. ასევე დაუშვებელია პესტიციდების ტარის სხვა მიზნებისთვის გამოყენება

**ანთიციდების ტრანსპორტირება:**

პესტიციდების ტრანსპორტირება იმპორტისა და რეალიზაციის მიზნით, მათ შორის, სატრანზიტო გადაზიდვა, ნებადართულია სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებით.

პესტიციდების ტრანსპორტირება ხორციელდება სხვადასხვა სახის ტრანსპორტით (საზღვაო, საჰაერო,სარკინიგზო, საავტომობილო) სახიფათო ტვირთების გადაზიდვის შესახებ მოქმედი წესების შესაბამისად.

**3. მხანარეთა მავნებლებთან ბრძოლის მეთოდები:**

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს სასოფლო სამეურნეო წარმოებაში მცენარეთა მავნე ორგანიზმებისაგან დასაცავად გამოიყენება აგროტექნიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, მექანიკური და ინტეგრირებული მეთოდები.

**აგროტექნიკური მეთოდი -** მოიცავს დაავადებებისადმი გამძლე ჯიშების

შერჩევას, ნიადაგის დამუშავების ტექნოლოგიების დაცვას, მაღალხარისხიანი თესვებისა და ნერგების გამოყენებას; თესვისა და რგვის ოპტიმალური ვადების, სიღრმისა და ნორმების დაცვას; თესვებში კულტურების სწორ მორიგეობას, რწყვის სწორი რეჟიმის დაცვას; სარეველების, როგორც კულტურულ მცენარეთა კონკურენტების მოსპობას; მოსავლის დროულად, შემჭიდროვებულ ვადებში და დაუზიანებლად აღებას, მრავალწლიან კულტურებში მწვანე ოპერაციების და სხვა აგროტექნიკური ღონისძიებების დროულ ჩატარებას; მცენარეთა ბალანსირებულ კვებას და სასუქების გამოყენების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის გამოყენებას, ნაკვეთებიდან მცენარეული ნარჩენების გატანას და მოსპობას;

**ქიმიური მეთოდი -** გულისხმობს მცენარეთა მავნე ორგანიზმებისგან დასაცავად ქიმიური ნივთიერებების - ე.წ. პესტიციდების გამოყენებას;

**ბიოლოგიური მეთოდი -** ითვალისწინებს მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ცოცხალი ბუნებრივი მტრების, ანტაგონისტებისა და სხვა ორგანიზმების - ბაქტერიების, სოკოების, ვირუსების ბაზაზე დამზადებული მიკრობიოლოგიური პრეპარატებისა და მცენარეული გამონაწერების გამოყენებას;

**მექანიკური მეთოდი** - გულისხმობს მავნებლის ხელით, ან სხვა სპეციალური იარაღით შეგროვებას და მათ მექანიკურ განადგურებას; მაგალითად **აზიურ ფაროსანასთან ბრძოლისას მექანიკური მეთოდიც გამოიყენება** და სურსათის ეროვნული სააგენტო, მოუწოდებს ფერმერებს და მთლიანად მოსახლეობას, რომ ამ მწერთან მექანიკური ბრძოლა არ დაიხარონ, რადგან ერთი ინდივიდის განადგურება ნიშნავს მომავალი სეზონისთვის 200-მდე ახალი მწერის მოსპობას!

**ინტეგრირებადი მეთოდი** - თანამედროვე ეტაპზე მცენარის დაცვა მავნე ორგანიზმებისაგან შესაძლებელია არა მხოლოდ ერთი ცალკეული მეთოდით, არამედ სხვადასხვა მეთოდისა და ხერხის ურთიერთშეთანხმებით, ერთობლივი გამოყენებით, რასაც ბრძოლის ინტეგრირებული მეთოდი ეწოდება. პრაქტიკულ საქმიანობაში ფერმერმა არ უნდა გადაუხვიოს ნამდვილი ინტეგრირებული დაცვის პრინციპებიდან. კერძოდ არ უნდა ჩატარდეს მხოლოდ ქიმიური ბრძოლა, თუ იგი მიზანშეწონილი არ არის. ხოლო, თუ მცენარის ქიმიური წამლობა გარდაუვალია, ამ შემთხვევაში რეკომენდირებულია ქიმიურ პრეპარატებთან მონაცვლეობაში ბიოლოგიური პრეპარატების გამოყენება. მიკრობიოლოგიური პრეპარატების და ინსექტიციდების კომბინირებული ნაზავების გამოყენება მიზანშეწონილია, როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე გარემოს დაბინძურების შემცირების და მავნე მწერების მიერ პესტიციდების მიმართ რეზისტენტული (გამძლე) პოპულაციების (თაობების) წარმოქმნის შეფერხების თვალსაზრისითაც. აღსანიშნავია რომ დღითითღე იზრდება მოთხოვნილება ბიოლოგიურ პესტიციდებზე;

**უფრო ვიხილავთ ბიოლოგიური მეთოდის შესახებ**

საქართველოში ბიო სოფლის მეურნეობის განვითარების, ადგილობრივი ბიო პროდუქციის ევროკავშირის ქვეყნებში გატანის და ბიო პროდუქციის მომხმარებლების უფლებების დაცვის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით 2013 წლის 30 ივლისს საქართველოს მთავრობამ მიიღო #198 დადგენილება „ბიოწარმოების შესახებ“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალისა გაზრდას, ასევე გარემოს, მომხმარებელთა და იმ ბიზნეს ოპერატორთა ინტერესების დაცვას, რომლებიც ბიოპროდუქციას აწარმოებენ (ან ისეთ პროდუქტს, რომლის ეტიკეტზე დატანილია სიტყვა „ორგანული“, „ეკო“, „ბიო“), რათა სხვა პროდუქტს არ მიენიჭოს ბიოპროდუქტის სტატუსი.

ბიოლოგიური წარმოება სრულად გამორიცხავს სინთეზური საშუალებით, გენმოდიფიცირებული ორგანიზმისა და გენმოდიფიცირებული ორგანიზმიდან მიღებული პროდუქტის გამოყენებით ბიოპროდუქტის წარმოებას; მცენარეთა დაცვას პრევენციული ღონისძიებების გატარების კუთხით, ბიოლოგიური წარმოების შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს შემდეგი წესები:

- ა) მავნებელ - დაავადებათა მიმართ გამძლე სახეობებისა და ჯიშების შერჩევა;
- ბ) სწორი თესობის მრავალწლოვანი თესობის გამოყენება, პარკოსანთა ოჯახის წარმომადგენლების, ან მძლავრი ფესვთა სისტემის მქონე კულტურების ჩართვით;
- გ) მცენარეთა მავნებლებისაგან დაცვა ბუნებრივი მტრების გამოყენებით;
- დ) ნიადაგის დამუშავებისა და კულტივაციისათვის ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობს ნიადაგში ორგანული ნივთიერებების შენარჩუნებასა და მატებას, დაიცავს მას ეროზიისა და გამკვრივებისაგან - მწვანე სასუქის, ბიომეურნეობიდან მიღებული ცხოველის ნაკვლის და ორგანული ნარჩენების გამოყენება (უმჯობესია კომპოსტირებული);
- ე) დაშვებულია, ასევე სასათბურე წარმოება, მრავალწლიანი მცენარეები, მუდმივი საძოვრები;
- ვ) ბიოწარმოებაში დაშვებული შეტანილი ნაკვლის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 170 კგ აზოტს ჰექტარზე წელიწადში;
- ზ) მიკროორგანიზმების შემცველი საშუალებების გამოყენება დაშვებულია ნიადაგის სტრუქტურის გასაუმჯობესებლად, ასევე კომპოსტის აქტივაციისათვის;
- თ) ბიოსასუქის დამზადებამ, შენახვამ და გამოყენებამ არ უნდა დააბინძუროს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები;
- ი) დაშვებულია ბიოდინამიური პრეპარატებისა და მხოლოდ ზემოთაღნიშნული მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ით ნებადართული სასუქებისა და ნიადაგის ნაყოფიერების ასამაღლებელი საშუალებების გამოყენება;
- კ) დაუშვებელია მინერალური აზოტშემცველი სასუქების და ქიმიური სინთეზით მიღებული სასუქების გამოყენება;
  - ლ) ნიადაგის დამცავი საფარისათვის დაშვებულია სინთეზური მულჩი, სილოსი, პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ან სხვა პოლიკარბონატების პროდუქტები. გამოყენების შემდეგ ეს მასალები უნდა მოცილდეს ნიადაგს, თუმცა არ უნდა დაიწვას მეურნეობაში;
- მ) დაუშვებელია პოლიქლორიდის პროდუქტების გამოყენება;
- ნ) სათესლე და ვეგეტატიური გამრავლების მასალის წარმოებისათვის დაშვებულია მხოლოდ ბიო მეთოდებით მიღებული სათესლე და ვეგეტაციური გამრავლების მასალის გამოყენება;
- ო) სერტიფიკაციის ორგანოს თანხმობის შემთხვევაში, ინდივიდუალურად, დაშვებულია არაბიომეურნეობიდან მიღებული სათესლე მასალისა და ვეგეტაციური გამრავლების ორგანოების გამოყენება;
- პ) სოკოს წარმოებაში დაშვებულია სუბსტრატის გამოყენება, თუ იგი, გარდა დანართი №1-ით ნებადართული ნივთიერებებისა<sup>3</sup>, შედგება ქიმიურად დაუმუშავებელი ტორფისა და ხის მასალისაგან, თუ ბიომეურნეობაში მიღებული ნაკელი და ცხოველის ექსკრემენტები ხელმისაწვდომი არ არის, დასაშვებია ნაკელისა და ცხოველის ექსკრემენტების 25%-ის შეტანა კონვერსიული (კონვერსია – არაბიომეურნეობიდან ბიომეურნეობაზე გადასვლის გარდამავალი პერიოდი, რომლის დროსაც გამოიყენება ბიოწარმოების მეთოდები) მეურნეობიდან;

<sup>3</sup>დანართები იხილეთ შემდეგ ლინკზე: <http://nfa.gov.ge/uploads/other/5/5644.pdf>

ქ) მცენარეთა მავნებლების, დაავადებებისა და სარეველებისგან დასაცავად დაშვებულია დანართი N2-ით ნებადართული პესტიციდებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენება.

საქართველოში ბიო სერტიფიკატის გამცემი ერთადერთი პირველი ადგილობრივი კომპანიაა შპს „კავკასსერტი“ (თბილისი, მარშალ გელოვანის ქ.#2; ელ ფოსტა: <http://www.caucascert.ge>), რომელიც თავის მომხმარებელს სთავაზობს ბიოპროდუქციის სერტიფიცირებას და მისი მთავარი მიზანია ბიოლოგიური პროდუქციის ინსპექტირება და სერტიფიცირება.

შპს „კავკასსერტი“<sup>10</sup> გაცემულ ბიოსერტიფიკატს კანონიერი ძალა აქვს როგორც საქართველოში, ისე ევროკავშირის ყველა ქვეყანასა და შვეიცარიაში. იგი უფლებამოსილია ევროკომისის მიერ დაარეგისტრიროს თავისი კლიენტები და გამოუწეროს მათ იმპორტის ინსპექტირების ელექტრონული სერტიფიკატი ევროკავშირის TRACES (Trade Control and Expert System) სისტემაში.

**აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მეთოდი:**

საქართველოში აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და ინოვაციური მეთოდია "მოიზიდე და მოკალის" პრინციპი, რომელიც ითვალისწინებს ფერმერის ნაკვეთში ერთ მცენარეზე (თხილის ბუჩქი, ხეხილის ხე ან ნებისმიერი ნარგაობა, რომელსაც აზიანებს აზიური ფაროსანა) დამაგრებული „ფერომონით მავნებლის მოზიდვას და შემდეგ ამ მცენარის პესტიციდით დამუშავებას მავნებლის საბოლოოდ გასანადგურებლად. ეს ინოვაციური მეთოდი მეტად ეფექტურია როგორც მავნებელთან ბრძოლის კუთხით, ასევე გარემოს დაცვის თვალსაზრისითაც, რადგან პესტიციდით მუშავდება მხოლოდ ის კონკრეტული მცენარე, რომელზედაც მავნებლის მოზიდვის მიზნით დამაგრებულის რამოდენიმე ერთეული ფერომონი ("მოიზიდე და მოკალის" მეთოდის გამოყენების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხ. შემდეგ ვებ გვერდზე: <http://nfa.gov.ge/ge/presrelizebi-eng-75/saxelmwifo-shesvidvebis-wliuri-gegma-eng-145>);

**4. ქარგი სასოფლო საბუნებო პრაქტიკა:**

ფერმერმა, სამეურნეო საქმიანობაში უნდა იხელმძღვანელოს კარგი სასოფლო სამეურნეო პრაქტიკით, კერძოდ:

**ბინორიში თანბრუნვის ელვა** - რაც გულისხმობს სხვადასხვა კულტურების მონაცვლეობას და რომელიც უზრუნველყოფს მინდვრის ფიტოსანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას;

**ღამთხვამდე სათესი ნაკვეთის დამზადება** - გამოკვლევა ნიადაგის მავნებლების რაოდენობის დასადგენად. თუ სათესი ფართობის 1 მ<sup>2</sup> ზე 5-8 ცალი მავნებელი მაინც აღმოჩნდა, აუცილებელია, ნიადაგის თესვამდე ქიმიური დამუშავება;

**თხილის თესვისწინა ქიმიური დამუშავება** - მავნებელ დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით;



**კულტურის ვეგეტაციის კარიოლი კვლევის ჩატარება**, მავნებელ-დაავადებათა რიცხოვნობის დადგენის მიზნით. მხოლოდ მავნებლის ეკონომიკური ზღვრების დადგენის შემდეგ არის რეკომენდირებული ქიმიური წამლობები;

**მოსავლის დროულ და შეფინდობაზე ვადაში აღება**, ლოდინის პერიოდის დაცვა (ლოდინის პერიოდი - ბოლო წამლობიდან მოსავლის აღებამდე პერიოდი), ნაწვერალის გაწმენდა ჩალისა და სხვა ნარჩენებისაგან, ნაწვერალის აღებისთანავე აოშვა და ღრმად ხვნა უშუალოდ მოსავლის აღების შემდეგ, რომელიც ხელს უწყობს ნიადაგში ტენის შენარჩუნებას და სათესი კულტურების მავნებელ-დაავადებათა მიმართ გამძლეობის ზრდას;

**ფოსფორი საჩვენებლის მოსაგება**, ვინაიდან ისინი ასუსტებენ მცენარეს და წარმოადგენენ მავნებელ-დაავადებათა რეზერვატორებს;

**ბაღის და მოსავლის საცავის დეზინფექცია** - მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად აუცილებელია, მოსავლის ასაღები მანქანების, ტარის, ბეღლის (მოსავლის შეტანამდე) დეზინფექცია, ასევე დეზინფექცია ხოჭოების წინააღმდეგ არაუგვიანეს 7 დღისა მოსავლის შეტანამდე;

**ვაგონებთან ბრძოლის ღონისძიებები გუსთან დაგვიწყობა** და გამოსაყენებელი პესტიციდები გეგმაზომიერად შერჩევა;

**ავსთიციდთან უსაფრთხო მუშაობის წესების დაცვა** - პესტიციდების არასწორი მოხმარება დიდ ზიანს აყენებენ ადამიანის ჯანმრთელობას და გარემოს. სასურველი შედეგის მისაღებად და შესაძლო ზიანის თავიდან ასაცილებლად მკაცრად უნდა იყოს დაცული მოხმარებისა და უსაფრთხოების ინსტრუქცია, რომელიც აუცილებელია თან უნდა ერთვოდეს ნებისმიერ პრეპარატს;

აღნიშნული საკითხების მოგვარებასა და სწორად წარმართვაში ფერმერებმა უნდა მიმართონ მცენარეთა დაცვის სპეციალისტებს ადგილობრივ საკონსულტაციო სამსახურებსა და ფერმერთა მომსახურების რეგიონალურ ცენტრებს.

**ჩრველი საჭირო პესტიციდების შერჩევისას:**

მემცენარეობაში პესტიციდები ფართოდ გამოიყენება, მაგრამ ეს, ყოველთვის აუცილებელი და გამართლებული არ არის. ამიტომ, უმჯობესია კონსულტაციისათვის მიმართოთ სპეციალისტს, რომელიც გადაწყვეტს, საჭიროა თუ არა მოცემულ შემთხვევაში მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების (პესტიციდების) გამოყენება. გამორიცხული არ არის, რომ მცირე პრობლემის გადაჭრა აგროტექნიკური ღონისძიებების სწორი ჩატარებითაც მოხერხდეს.

პესტიციდის შერჩევისას განსაზღვრეთ, გამართლებულია თუ არა მის შესაძენად საჭირო ხარჯის გაწევა. ამისათვის გათვალეთ ფინანსურად რა უფრო მომგებიანია თქვენთვის-ქიმიური წამლობის ღირებულების გაღება და ამით მოსავლის გაუმჯობესება, თუ თანხის დაზოგვა წამლობაზე და შედარებით ნაკლები მოსავლის მიღება?

შესაძენი პესტიციდის საჭირო რაოდენობის განსაზღვრისას გაეცანით მისი ხარჯვის საპექტრო ნორმას და მიიღეთ რეკომენდაცია წამლობის ჯერადობის, ლოდინის პერიოდის შესახებ.

**ქიმიური წამლობის ჩატარება მაშინ არის გამართლებული, თუ მისი ფასი ნაკლებია შენარჩუნებული მოსავლის ფასზე!**

**ჩრველი პესტიციდების შერჩევისას:**

- პესტიციდები შეიძინეთ მხოლოდ სპეციალიზირებულ, ავტორიზირებულ მაღაზიებში!
- პესტიციდის შეძენისას დარწმუნდით, რომ ნამდვილად იმ პრეპარატს ყიდულობთ, რომელიც მცენარეთა დაცვის სპეციალისტმა ან გამოცდილმა აგრონომმა გირჩიათ!
- ყურადღებით დააკვირდით ტარას (ჭურჭელს), რომელშიც მოთავსებულია პესტიციდი. იგი აუცილებლად ჰერმეტიკულად უნდა იყოს დახურული, ჭურჭლის სახურავს უნდა ჰქონდეს ხელუხლებელი დამცავი რგოლი!
- პესტიციდის ტარაზე აუცილებლად უნდა იყოს მიკრული ქართულ ენაზე შედგენილი ეტიკეტი, სადაც მითითებულია: პრეპარატის დასახელება, მოქმედი ნივთიერება და კონცენტრაცია, უსაფრთხო გამოყენების რეკომენდაციები, შენახვის პირობები, ვარგისიანობის ვადა, მწარმოებელი ქვეყნა, სახელმწიფო რეგისტრაციის და პარტიის ნომერი;
- არ შეიძინოთ უეტიკეტო, საცობდაზიანებელი, საეჭვო ჭურჭელსა თუ ტარაში მოთავსებული პესტიციდი! წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ ფალსიფიცირების მსხვერპლი გახდებით!
- პესტიციდების შეძენისას აუცილებლად მოითხოვეთ მისი სარეკლამო ფურცელი და თქვენთვის გასაგებ ენაზე შედგენილი რეკომენდაციები!
- პრეპარატის გამოყენებამდე გულდასმით წაიკითხეთ ტარის ეტიკეტი და სარეკლამო ფურცელი, გაითვალისწინეთ თუ რა სახის უსაფრთხოების ზომები უნდა დაიცვათ მოცემული პრეპარატის გამოყენებისას!
- შეიძინეთ იმ რაოდენობის პესტიციდი, რამდენიც საჭირო იქნება კულტურის ერთ სავეგეტაციო პერიოდში გამოსაყენებლად. ამით თავიდან აიცილებთ ჭარბი და ნარჩენი რაოდენობის პესტიციდების შენახვის (დასაწყობების) აუცილებლობას.

**5. აგრეთვე დახვედით და ჯანმრთელობის რისკების შეფასება და უსაფრთხოება**

**პესტიციდების ჯანმრთელობის რისკები და მათი თავიდან აცილება**

პესტიციდების არასწორი გამოყენება ადამიანის ჯანმრთელობას დიდ საფრთხეს უქმნის, და შეიძლება გამოიწვიონ სხვადასხვა დაავადებები: ნერვული სისტემის მოშლა, კუჭნაწლავის ტრაქტის და ლორწოვანი გარსის გაღიზიანება, შინაგანი ორგანოების დაზიანება, ენდოკრინული ცვლილებები.

პესტიციდებთან კონტაქტის დროს, საფრთხის თავიდან ასაცილებლად დაცული უნდა იყოს შემდეგი აუცილებელი წესები:

- გამოიყენეთ სპეც ტანსაცმელი, რომელიც მაქსიმალურად ფარავს სხეულს!
- გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები: რეზინის ხელთათმანი, ჩექმა, თავსაბურავი, სათვალე, რესპირატორი;
- იმუშავეთ მხოლოდ უქარო ამინდში დილის ან საღამოს საათებში!
- არ შეეხოთ ქიმიურ პრეპარატს დაუცველი ხელებით!
- აკრძალულია წამლობის დროს პესტიციდით დაბინძურებული ხელებით სიგარეტის მოწევა, საკვებისა და სასმელის მიღება!
- სამუშაოს დამთავრების შემდეგ გულმოდგინეთ დაიბანეთ საპნით და წყლით ან მიიღეთ შხაპი!
- დაბინძურებული ტანსაცმელი შეინახეთ და გარეცხეთ ცალკე!
- სამუშაოს შემდეგ გარეცხეთ გამოყენებული შემასხურებელი აპარატურა, ნარეცხი წყალი გახარჯეთ დამუშავებულ ნაკვეთში!
- ცარიელი ტარა არ გამოიყენოთ საყოფაცხოვრებო ან სხვა მიზნებისათვის! **ეს დაუშვებელია ჭურჭლის გარეცხვის შემთხვევაშიც კი!** გამოყენებული ტარა დახვრიტეთ და ღრმად ჩაფალით სპეციალიზირებულ მოცემენტებულ ორმოში;

**პესტიციდით მოსავლის შეფასებაში:**

- **პესტიციდის ორთქლის შესუნთქვის** შემთხვევაში დაზარალებული მოარიდეთ სამუშაო ადგილს, გაიყვანეთ სუფთა ჰაერზე, შეუხსენით საყელო, მიმართეთ ექიმს!
- **კანზე მოხვედრისას** პესტიციდების უმრავლესობა სწრაფად შეიწოვება, ამიტომ დაუყოვნებლივ ჩამოირეცხეთ გამდინარე წყლის ჭავლით. თუ მიიღეთ დამწვრობა, მიმართეთ ექიმს!
- **პრეპარატის თვალში მოხვედრისას** აუცილებლად ჩამოირეცხეთ თვალი 10 წუთის განმავლობაში გამდინარე წყლის ჭავლით! მიმართეთ ექიმს!
- **პესტიციდის გადაყლაპვის შემთხვევაში** დაზარალებულს ექიმის მოსვლამდე დააღვინეთ ჭიქა წყალი აქტივირებულ ნახშირთან ერთად;
- **არ დაუშვათ პირღებინების პროვოცირება**, როდესაც ადამიანი იმყოფება უგონო მდგომარეობაში! პესტიციდის ტარის ეტიკეტი გადაეცით ექიმს!

**გახსოვდეთ! სიფრთხილე საუკეთესო თავდაცვის საშუალებაა!!!**

### ბარემოსდავითი რისკების შეფასება და უსაფრთხოება;

პესტიციდები წარმოადგენენ მომწამლავ ნივთიერებებს, რომელთაც აქვთ უნარი დაგროვდნენ გარემოში და უარყოფით გავლენა მოახდინონ გარემოს ობიექტებზე: მეტად ტოქსიური არიან წყლის ორგანიზმებისათვის, ნიადაგის მიკროფლორისათვის, ასევე ფუტკრისათვის და სხვა სასარგებლო მწერებისათვის. პესტიციდები შეიძლება მოხდნენ გრუნტის წყლებში, ასევე ჩაერთონ საკვებ ჯაჭვში, დაგროვდნენ მეძუძური დედის რძეში.

ყოვლად დაუშვებელია გამოყენებული პესტიციდების ტარისა და ნარჩენების, აგრეთვე ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისი პესტიციდების უკონტროლოდ გადაყრა (გადასხმა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთებში, წყალსატევებში (მდინარე, დელე, ხრამი, ტბა, ჭაობი), ბუნებრივ ველ-მინდვრებსა და ტყეებში. პესტიციდების ნარჩენები და ცარიელი ტარა შეიძლება განთავსდეს მხოლოდ სპეციალიზირებულ დროებით საცავებში!

### 6. უშიკუშირება, მარკირება და ბაზარზე განთავსება,

„პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ საქართველოს კანონის და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) „პესტიციდების განაწილებისა და გამოყენების საერთაშორისო კოდექსის“ მოთხოვნათა საფუძველზე მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის # 427 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მარკირების წესის“ დამტკიცების შესახებ

რეგლამენტი განკუთვნილია პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ყველა დამამზადებელი საწარმოსათვის, დისტრიბუტორებისათვის, რეალიზატორებისა და მომხმარებლებისათვის, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, ვისი საქმიანობაც დაკავშირებულია პესტიციდების და აგროქიმიკატების იმპორტთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან, რეკლამასთან.

საქართველოს კანონის „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ თანახმად: აკრძალულია იმ პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ქვეყანაში შემოტანა და ბაზარზე განთავსება, რომლებიც არ არის რეგისტრირებული და შეტანილი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგში;

### მარკირება/უშიკუშირება:

პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მიმოქცევასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული პირები ვალდებული არიან, ადამიანისა და გარემოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ:

- პრეპარატული ფორმების და აგროქიმიკატების შეფუთვისა და მარკირებას (ნიშანდებას);
- პესტიციდის და აგროქიმიკატების მიმოქცევისას ჭურჭელზე (ტარაზე) ეტიკეტი უნდა იყოს საერთაშორისო, აგრეთვე ქართულ ენაზე;
- პესტიციდების იმპორტიორი და რეალიზატორი ვალდებულია უზრუნველყოს ტარის ეტიკეტის თარგმნა ქართულ ენაზე.

„სახელმწიფო კატალოგი – საქართველოს ტერიტორიაზე გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ჩამონათვალი-საქართველოს კანონი „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“;

### ბაზარზე განთავსება:

- აკრძალულია იმ პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ქვეყანაში შემოტანა და ბაზარზე განთავსება, რომლებიც არ არის რეგისტრირებული და შეტანილი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგში;
- პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო რეგისტრაცია – პროცესი, რომლის საფუძველზედაც აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანო პესტიციდის/ აგროქიმიკატის გამოცდების შედეგებისა და სამეცნიერო მონაცემების, რეგისტრანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის კომპლექსური შეფასებისა და ანალიზის შემდეგ იძლევა პესტიციდებისა და აგროქიმიკატების საქართველოში წარმოების, შემოტანის, შენახვის, რეალიზაციის, გამოყენებისა და რეკლამის უფლებას;

### 7. სასუქები და მათი კლასიფიკაცია,

**სასუქი - აგროქიმიკატები** – სასუქები, ქიმიური მელიორანტები, აგრომადნეულები, საკვები დანამატები, რომლებიც გათვალისწინებულია მცენარეთა კვებისათვის, ნიადაგის ნაყოფიერებისა და ცხოველთა დამატებითი კვებისათვის;

### სასუქების კლასიფიკაცია შვებუნდოვის მიხედვით:

- **აზოტიანი სასუქები** - ძირითადად გავლენას ახდენს მცენარის ზრდის პროცესზე. მისი ნაკლებობის დროს მცენარე უფერულდება და ცუდად ვითარდება, მცირდება მოსავლიანობა;
- **ფოსფორიანი სასუქები** - ხელს უწყობს ნაყოფის წარმოქმნას და მომწიფების დაჩქარებას, აძლიერებს მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ მცენარეთა გამძლეობის უნარს, აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს;
- **კალიუმიანი სასუქები** - მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნახშირწყლების წარმოქმნასა და გადაადგილებაში, აძლიერებს მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ მცენარეთა გამძლეობის უნარს, აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს, მის ტრანსპორტაბელობას;



- **რთული და კომპლექსური სასუქები** - მათი გამოყენება ძალზე ეფექტურია როგორც სასოფლო სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის გადიდების და ხარისხის გაუმჯობესების, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. რამეთუ ბევრად ნაკლებია მისი ტრანსპორტირების, შენახვის, ნიადაგში შეტანის ნორმები და დანახარჯები. რთული სასუქები შეიძლება ასევე იყოს კომპლექსური, რომლებიც მაკროელემენტებთან ერთად შეიცავენ მიკრო-ელემენტებს სხვადასხვა პროცენტული შემცველობით;
- **ბაქტერიული სასუქები** - ზრდის და აძლიერებს მიწათმოქმედებისათვის სასარგებლო მიკროორგანიზმების რაოდენობას და ცხოველყოფილობას, ხელს უწყობს საკვები ნივთიერებების დაგროვებას ნიადაგში, მცენარისათვის საჭირო შესათვისებელი ფორმით. შედეგად უმჯობესდება ნიადაგის ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური თვისებები, რაც ხელს უწყობს ნიადაგის ნაყოფიერების ზრდას და აუმჯობესებს მის სტრუქტურას;
- **ორგანული სასუქები** - ორგანულ სასუქში დიდი რაოდენობით შედის ორგანული ნივთიერება, რომლის მინერალიზაციის შემდეგ მასში არსებული საკვები ელემენტები გადადის მცენარისათვის ადვილად შესათვისებელ ფორმაში.

**8. სასუქების შენახვა, ტრანსპორტირება/გადაზიდვა, გამოყენების მოთხოვნები:**

აგროქიმიკატების - სასუქების შენახვა ტრანსპორტირების პირობები მთლიანად უნდა აკმაყოფილებდეს მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შენარჩუნების და გარემოს დაცვით მოთხოვნებს, რომელიც რეგულირდება საქართველოს მთავრობის #451 დადგენილებით მიღებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

**სასუქების შენახვა**

- სასუქების შენახვა რეკომენდირებულია მხოლოდ მშრალ, კარგად განიავებად საწყობში, სადაც დაცულია შესაბამისი სანიტარულ-ჰიგიენური ზომები;
- სხვადასხვა სახის სასუქები უნდა ინახებოდეს ცალ-ცალკე სათანადო წარწერებით;
- განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ამონიუმის გვარჯილის, როგორც ფეთქებადი ნივთიერების, შენახვა. იგი უნდა ინახებოდეს სხვა სასუქებისაგან განცალკავებულად ხანძრის გამომწვევ ყველა ფაქტორისაგან იზოლირებულად, სათავსოს აუცილებლად უნდა გააჩნდეს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- საწყობში სასუქების შენახვისას ადკვეთილი უნდა იქნეს ატმოსფერული ნალექების მოხვედრა, მიწისქვეშა წყლების დაბინძურება;
- სასუქების შენახვის ადგილებიდან ჩამონარეცხი წყალი უნდა გროვდებოდეს სპეციალურ წყალგაუმტარ შემკრებში, მისი შემდგომში სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებლად.

**სასუქების ტრანსპორტირება:**

აგროქიმიკატების ტრანსპორტირება ხდება საჰაერო, სარკინიგზო და ავტოსატრანსპორტო საშუალებებით.

აგრომდინეულების, ქიმიური მელიორანტების, ტორფის და სხვა ორგანული სასუქების, ფიზიკურ- ქიმიური თვისებებიდან გამომდინარე, მათი შენახვა და ტრანსპორტირება ხდება ჩვეულებრივ პირობებში, თუმცა დაუშვებელია მათი დაყრა მდინარეების, წყალსაცავების და ჭების სიახლოვეს.

**სასუქების გამოყენების მეთოდები და მოთხოვნები:**

- აგროქიმიკატების ეფექტური გამოყენებისათვის აუცილებელია ნიადაგის წინასწარი აგროქიმიური გამოკვლევა. საკვები ელემენტების შემცველობის განსაზღვრა და ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლების და სხვა პარამეტრების მიხედვით ნაყოფიერების დონის დადგენა;
  - მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარებისა და მაღალხარისხიანი მოსავლის მისაღებად, აუცილებელი ძირითადი საკვები ელემენტებია - აზოტი, ფოსფორი და კალიუმი;
  - მეორადი გამანოყიერებელი ელემენტები - კალციუმი, მაგნიუმი, ნატრიუმი და გოგირდი, ნიადაგის თავისებურებიდან გამომდინარე მცენარეთა ზრდას აგრეთვე ხელს უწყობს მიკროელემენტები - ბორი, კობალტი, სპილენძი, რკინა, მაგნიუმი, მოლიბდენი და თუთია.
- აგროქიმიკატების ნიადაგში შეტანა ძირითადად მექანიზირებული წესით ხდება, რათა დაცული იქნეს სასუქების რეკომენდებული დოზით მთელ ფართობზე თანაბარი განაწილება, თუმცა რთული და მთიანი რელიეფის პირობებში დასაშვებია მისი ხელით შეტანაც. აგროქიმიკატების გამოყენება ასევე, მცენარეთა ფოთლოვანი გამოკვებით, წვეთოვანი მორწყვით, ირიგაციით და სხვ.
- ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად დაცული უნდა იქნეს ნიადაგში სასუქების და აგროქიმიკატების შეტანის ნორმები, ვადები, წესები, საკვებ ელემენტთა შეფარდება, თუმცა დაუშვებელია მცენარეთა ცალმხრივი კვება.
- **ფოსფორიანი და კალიუმიანი, ასევე რთული სასუქების** შეიტანება ნიადაგის ძირითადი დამუშავების დროს, თესვის ან დარგვის წინ, გამოკვებაში მწკრიულ განოყიერებაში, ბუდნებში შეტანით;
  - **აზოტიანი სასუქები** ძირითადად შეიტანება მცენარეთა ვეგეტაციის დაწყების პერიოდში;
  - **მეორადი გამანოყიერებელი ელემენტები და მიკროსასუქები** შეიტანება ნიადაგში მისი შემცველობის გათვალისწინებით, ფოსფორ -კალიუმიან და რთულ სასუქებთან ერთად;
  - **ყველა სახის ორგანული სასუქი** შეიტანება ნიადაგის ძირითადი დამუშავების წინ.



- **მოსავლიანობის გაზრდის**, პროდუქციის და ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების საუკეთესო საშუალება, აგროქიმიკატებთან ერთად ცეოლიტების, ხოლო ნიადაგში მოლიბდენისა და მანგანუმის ნაკლებობის შემთხვევაში, ამ ელემენტების შემცველი მიკროსასუქების შეტანა.
- **აზოტიანი სასუქით** მცენარეთა სავეგეტაციო გამოკვება უნდა დამთავრდეს მოსავლის აღებამდე 1-1.5 თვით ადრე;
- **მოკლე, სავეგეტაციო პერიოდის მქონე მცენარეებისათვის** (მწვანეხედიანი) აზოტიანი სასუქები გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ ერთ ვადაში, ნიადაგის თესვისწინა დამუშავების დროს;

**გარემოსდაცვითი რისკების შემცირება და ჯანმრთელობის უსაფრთხოება:**

აგროქიმიკატების გამოყენების შედეგად გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენის შემცირების მიზნით დაუშვებელია:

- არარეგისტრირებული, ფალსიფიცირებული, უხარისხო აგროქიმიკატების შემოტანა და რეალიზაცია;
- აგროქიმიკატების წარმოების დაფასობის, შეფუთვის და მარკირების წესების დარღვევა;
- აგროქიმიკატების გამოყენება შესაბამისი რეკომენდაციებისა და რეგლამენტის დარღვევით;
- გაუმართავი ტექნიკით აგროქიმიკატების ნიადაგში შეტანა, რაც იწვევს აგროქიმიკატების არათანაბარ განაწილებას ფართობზე და მისი ეფექტურობის შემცირებას;
- გაუმართავი ტრანსპორტით აგროქიმიკატების გადაზიდვა, რაც იწვევს მის დანაკარგს;
- აგროქიმიკატებიდან მინერალური სასუქების ღია ცის ქვეშ დაყრა და დატოვება, რაც იწვევს გარემოს დაზიანებას;
- აგროქიმიკატების შენახვა მიწურებში, სარდაფებში, საწვავ-საცხები მასალების საწყობში, სამრეწველო საქონელთან, კვების პროდუქტებთან და სათესლე მასალებთან ერთად;
- აზოტიანი სასუქის წყალში გახსნა და ამ ხსნარით მცენარეთა მორწყვა მოსავლის აღებამდე ორი თვის ვადაში;
- სასუქების რეალიზაცია ქუჩებში, სკვერებში, პარკებში, ბაზრებში, საერთო სარგებლობის ჯიხურებში, კვების პროდუქტებთან და სხვა საქონელთან ერთად.

აგროქიმიკატების ხელით შეტანისას, მომუშავენი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სპეც-სათვალებით, სპეც-სამუშაო ტანსაცმლითა და ხელთათმანებით. დაუშვებელია სასუქების შეტანა ქარიან ამინდში.

წყალსაცავების, თევზის სატბორე მეურნეობების, მდინარეების, ტბების, ზღვის და სხვა რეკრეაციული ზონის მიმდინარე ტერიტორიებზე მინერალური სასუქის შეტანა დაიშვება მხოლოდ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სანიტარიული ზოლის დაცვით.

**9. სასუქების უშიქშიწირობა, მარკირება და ბაზარზე განთავსება,**

სასუქების და აგროქიმიკატების რეალიზაცია დასაშვებია საბითუმო და საცალო ვაჭრობით სპეციალიზებული ქსელის მეშვეობით. მყიდველს აგროქიმიკატებთან ერთად მიეცემა გამოყენების რეკომენდაცია, მისი ეფექტური და უსაფრთხო გამოყენების შესახებ;

**აგროქიმიკატების მარკირება:**

- აგროქიმიკატის ეტიკეტზე აღნიშნული უნდა იყოს:
  - აგროქიმიკატის დასახელება სიტყვიერად და ქიმიური ფორმულით;
  - სავაჭრო ნიშანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აგროქიმიკატის მწარმოებლის სრული სახელწოდება და რეკვიზიტები;
  - აგროქიმიკატის წონა;
  - სასუქში შემავალი მძიმე ლითონების, რადიაციული ელემენტების და ქლორის შემცველობა (არსებობის შემთხვევაში);
  - სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი;
  - გამაფრთხილებელი ნიშანი (არსებობის შემთხვევაში);
  - სასუქში შემავალი ფეთქებადი ნივთიერების შემცველობა და ეკოტოქსიკურობა (არსებობის შემთხვევაში);
  - პროდუქციის დამზადების თარიღი;
  - შენახვის პირობები;
  - გამოყენების პირობები და წესები;
  - სტანდარტის დასახელება;
  - პარტიის ნომერი

➤ თუ აგროქიმიკატი შეიცავს რამდენიმე ელემენტს (როგორც სასუქი), ისინი ეტიკეტზე თავისი პროცენტული შემცველობით ჩამოთვლილი უნდა იყოს როგორც სიტყვიერად, ისე ფორმულით, შემდეგი თანმიმდევრობით:


- აზოტი – N;
- ფოსფორი – P<sub>2</sub>O<sub>5</sub> ან P;
- კალიუმი – K<sub>2</sub>O ან K;
- კალციუმი – CaO ან Ca;
- მაგნიუმი – MgO ან Mg;
- სულფატი – SO<sub>3</sub> ან S;
- ასევე ყველა ის მიკროელემენტი, რომელსაც შეიცავს როგორც სასუქი.

➤ დასაშვებია აგროქიმიკატებში პროცენტული შემცველობის გადახრა 0,1%-ის ფარგლებში;

➤ შეფუთული აგროქიმიკატების გახსნის შემთხვევაში აუცილებელია ტარაზე დასმული ბეჭდის, ეტიკეტის და მთლიანად ტარის დაზიანება, რათა არ მოხდეს მისი მეორადი გამოყენება ფალსიფიცირებული აგროქიმიკატის ჩასაყრელად და სარეალიზაციოდ.

პესტიციდების და აგროქიმიკატების შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და გამოყენების წესების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად!!!

## პირადი უსაფრთხოების აღჭურვილობა



## Personal Protective Equipment (P.P.E)

## თავი 4

## მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკა

„სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის, მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკის დეპარტამენტი“ უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის მცენარეთა იდენტიფიკაცია/ დიაგნოსტიკის საკითხებს, მათ შორის სოკოვანი, ბაქტერიული და ვირუსული აგენტებით, მწერებით, ტკიპებით, ჰელმინთებით და სარეველებით გამოწვეულ ზიანსა და დაავადებებს. რომლისათვისაც გამოიყენება ვიზუალური, მიკროსკოპული, ბიოლოგიური, ბიოქიმიური, სეროლოგიური, პჯრ (PCR) და სხვა სახის გამოკვლევები.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიამ აკრედიტაცია გაიარა ISO 17025-ის მიხედვით, რომელსაც გასცემს საერთაშორისოდ აღიარებული ორგანიზაცია „აშშ-ს სტანდარტების ეროვნული ინსტიტუტი“ (ANAB) და ეროვნული აკრედიტაციის ცენტრი. ლაბორატორიაში ასევე დანერგილია ISO 9001:2008 მოთხოვნის შესაბამისი ხარისხის მართვის სისტემა.

დღესდღეობით, მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკის დეპარტამენტში ფუნქციონირებს 3 სახის ლაბორატორია: **ენტომოლოგიის, ფიტოპათოლოგიის და მოლეკულური ბიოლოგიის ლაბორატორიები.**

ენტომოლოგიის ლაბორატორიაში ტარდება მცენარეული მასალის გამოკვლევა, დაზიანების გამომწვევი ორგანიზმების: მწერების, ტკიპების და ჰელმინთების იდენტიფიკაცია; აგრეთვე ფესვების, ნიადაგის, ფქვილისა და მარცვლეულის გამოკვლევა, მავნებლების გამოვლენა და იდენტიფიკაციისათვის;

ფიტოპათოლოგიის ლაბორატორიაში ხდება მცენარეულ ნიმუშში ბაქტერიების მორფოლოგიური და ფიზიოლოგიურ-ბიოქიმიური იდენტიფიკაცია, მცენარეული მასალისა და ნიადაგის გამოცდა სოკოვანი დაავადების გამომწვევების არსებობაზე, ნიადაგის ფიტოპათოლოგიური გამოცდა, სარეველა მცენარეების გამოვლენა და იდენტიფიკაცია და ასევე თესლის ხარისხის - აღმოცენების, სიწმინდის, სიმკვრივის, ჩანასახის მასური წილის და სხვა მახასიათებლების განსაზღვრა;

მოლეკულური ბიოლოგიის ლაბორატორიაში ტარდება მცენარეთა ვირუსული და ბაქტერიული დაავადებების გამომწვევი ორგანიზმების და ნემატოდების იდენტიფიკაცია თანამედროვე მოლეკულური მეთოდებით, კერძოდ პჯრ და ელაიზა მეთოდებით. ასევე, აქ ხდება გენმოდულიზირებული ორგანიზმების (გმო) დეტექცია საკვებ პროდუქტებში, არაქისის შემცველობის განსაზღვრა დაქუცმაცებულ თხილსა და თხილის პასტაში და ხორცის (კერძოდ, ქათმის, ცხვრის, ძროხის, ღორის ხორცის) სახეობის იდენტიფიკაცია თერმულად დამუშავებულ ხორცის პროდუქტში;

ლაბორატორიაში ნიმუშის საკვლევად შემოტანისას, დაინტერესებულმა პირმა უნდა შეავსოს მიმართვის სპეციალური ფორმა და მიეწოდოს ლაბორატორიის მიმღები განყოფილების სპეციალისტს. მიმართვას აუცილებლად უნდა ახლდეს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მცენარის დაავადების/დაზიანების შესახებ, კერძოდ:

- ✓ ნიმუშის აღების დრო;
- ✓ ნიმუშის აღების ადგილი;
- ✓ სიმპტომების და დაზიანების ფორმების გამოვლენის პერიოდი;
- ✓ დაავადების და დაზიანების გავრცელების ინტენსივობა;
- ✓ მასპინძელი მცენარე;
- ✓ თესვის/რგვის ვადები;
- ✓ წინამორბედი კულტურა (თესლბრუნვა);
- ✓ ნიადაგის ტიპი;
- ✓ სასუქების და პესტიციდების გამოყენება;
- ✓ გარემო ფაქტორები (ტემპერატურა, ტენიანობა და ა.შ.);
- ✓ შენახვის პირობები;
- ✓ სხვა მნიშვნელოვანი დეტალები.

**საბაგოშოე შამოსული ნიუში უნდა აკაყოფილებეს შაქრით მოთხოვნებს:**

- ✓ ტესტირებისთვის ნიმუშის შემოტანა უნდა მოხდეს ნიმუშის აღებიდან არა უგვიანეს 2-3 დღისა;
- ✓ ნიმუში არ უნდა იყოს დამპალი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ლობბა დაავადების დამახასიათებელი სიმპტომია);
- ✓ ნიმუში უნდა იყოს სათანადოდ შეფუთული და ეტიკეტირებული - ნიმუშის აღების თარიღისა და ადგილის მითითებით;

**მანარეული ნიუშების გამოყენების განსაზღვრულია შაქრით ვალები:**

- ✓ ენტომოლოგიური გამოცდა - 1-35 დღე;
- ✓ ჰელმინთოლოგიური გამოცდა - 1-20 დღე;
- ✓ ნიადაგის ფიტოპათოლოგიური გამოცდა - 1-30 დღე;
- ✓ მიკოლოგიური გამოცდა - 1-14 დღე;
- ✓ ბაქტერიოლოგიური გამოცდა - 1-30 დღე;
- ✓ ვირუსოლოგიური გამოცდა - 2-6 დღე;
- ✓ ბაქტერიოლოგიური და ვირუსოლოგიური გამოცდა ექსპრეს ტესტით - 1 დღე;
- ✓ ჰერბოლოგიური გამოცდა - 1-7 დღე;
- ✓ თესლის ხარისხის განსაზღვრა - 1-30 დღე;
- ✓ მოლეკულური ბიოლოგიურის მეთოდით (პჯრ) გამოცდის ხანგრძლივობა - 1-4 დღე;
- ✓ საკვებ პროდუქტებსა და ცხოველის საკვებში გენმოდულირებული ორგანიზმების (გმო) გამოცდა - 4 დღე;
- ✓ არაქისის შემცველობის განსაზღვრა - 3 დღე;
- ✓ ხორცის სახეობის იდენტიფიკაცია - 2-6 დღე;

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიული ქსელი მოიცავს 11 ლაბორატორიას, რომელთაგან თბილისის ზონალურ და 5 რეგიონალურ (ქუთაისი, ბათუმი, გორი, ახალციხე და გურჯაანი) ლაბორატორიაში ტარდება

მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკა, მათ შორის ვიზუალური, ენტომოლოგიური, მიკოლოგიური, ჰერბოლოგიური და თესლის ხარისხის განსაზღვრის კვლევები. რეგიონული ლაბორატორიების მისამართებია:

- ✓ **თბილისის ზონალურ-ენიგნოსტიკური ლაბორატორია** - მისამართი: თბილისი, ვ. გომიანიშვილის ქუჩა # 49, ტელეფონი: (+995 32) 253 09 68.
- ✓ **ქუთაისის ზონალურ-ენიგნოსტიკური ლაბორატორია** - მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიკვას ქ., III ჩიხი, #); ტელ: 431 23 36 87; (+995) 591 93 60 25;
- ✓ **ბათუმის ლაბორატორია** - მისამართი: ქ. ბათუმი, ქვედა სამება; ტელ: 422 254501; (+995) 591 93 60 54;
- ✓ **გორის ლაბორატორია** - მისამართი: ქ. გორი, თამარ მეფის ქ. #77; ტელ: 370 27 02 23, 370 27 02 24; (+995) 591 93 60 45;
- ✓ **ახალციხის ზონალურ-ენიგნოსტიკური ლაბორატორია** - მისამართი: ქ. ახალციხე, ახალციხე-ახალქალაქის გზატკეცილი; ტელ: 365 22 20 60; (+995) 591 93 60 35;
- ✓ **გურჯაანის ლაბორატორია** - მისამართი: ქ. გურჯაანი, ტაბიძის ქ. #4; ტელ: 353 22 09 42; (+995) 599 25 96 98;

**თავი 5  
ძირითადი საერთაშორისო სავაჭრო მოთხოვნები**

საერთაშორისო ვაჭრობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო ურთიერთობებში და იგი უდიდეს გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე, ვინაიდან ქმნის მჭიდრო საქმიან კავშირებს ქვეყნებს შორის. ვაჭრობის ღია სისტემა მოითხოვს, რომ ქვეყნებმა განახორციელონ თავისუფალი შეღწევა ერთმანეთის ბაზრებზე. ამისათვის ქვეყნები უნდა შეეცადონ სხვა ქვეყნებს შეუქმნან ხელსაყრელი პირობები თავის ბაზრებზე შესაღწევად - შეამცირონ თავიანთი სავაჭრო ბარიერები მრავალმხრივი და ორმხრივი შეთანხმებების დადების გზით. მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაციისას ძირითადი ყურადღება ტრადიციულად ეთმობა ტარიფებისა და გარკვეულ არასატარიფო ბარიერების შემცირებას, უკანასკნელ წლებში გაჩნდა ახალი საშუალებები ამ ლიბერალიზაციის უზრუნველსაყოფად. ყველა ქვეყნის სავაჭრო კანონმდებლობა და სავაჭრო პრაქტიკა უნდა იყოს გამჭვირვალე, ანუ ყველამ უნდა იცოდეს წესები და ყველას უნდა ჰქონდეს თანაბარი შანსი კონკურენციაში მონაწილეობისათვის.

საერთაშორისო ვაჭრობის დაწყება მიზნად უნდა ისახავდეს ვაჭრობის ზრდას, ბაზრების დივერსიფიკაციას, ახალი (საერთაშორისო) გამოცდილების შექმნას. რაც შეეხება ნაკლოვანებას პირველ რიგში, მხედველობაშია მისაღები უფრო მაღალი რისკი, რომელიც ახასიათებს საექსპორტო ოპერაციებს შიდა ბაზარზე ოპერაციებისაგან განსხვავებით. მეორე, ძალზე მძაფრი კონკურენცია

არის ის რომ ახალ საექსპორტო ბაზარზე შესვლისას მეწარმე ებმება კონკურენტულ ბრძოლაში არა მხოლოდ ადგილობრივ მწარმოებლებთან არამედ ყველა არსებულ იმპორტიორთან. ასევე მხედველობაში მისაღები სახელმწიფოებს შორის არსებული საკანონმდებლო განსხვავებები, მომხმარებელთა განსხვავებული დამოკიდებულება, კულტურული, სოციალური და სხვა განსხვავებები. რასაკვირველია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი გაზრდილ სირთულეებს განაპირობებს, მაგრამ ამავედროულად არსებობს ამ სირთულეების დაძლევის კონკრეტული გზები და მექანიზმები, რომლებიც აპრობირებულია საერთაშორისო ვაჭრობაში.

**1. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (FTA)**

თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ქვეყნებს შორის საქონლისა და მომსახურეობის დაუბრკოლებელ მიმოცვლას ნიშნავს. პრაქტიკაში თავისუფალი ვაჭრობა ნიშნავს ვაჭრობას დისკრიმინაციის გარეშე - იმპორტზე დაბალ საბაჟო გადასახადს, კვოტების აკრძალვას იმპორტზე, სოფლის მეურნეობის სუბსიდიზების შემცირებას ან საერთოდ უარის თქმას და ა.შ. თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი რეგულირდება მრავალმხრივი და ორმხრივი შეთანხმებებით.

საქართველოს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ დადებული აქვს შემდეგ ქვეყნებთან: აზერბაიჯანი, თურქეთი, თურქმენეთი, მოლდოვა, რუსეთის ფედერაცია, სომხეთი, უზბეკეთი, უკრაინა, ყაზახეთი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

დსთ-ის წევრ ქვეყნებთან, გარდა რუსეთის ფედერაციისა, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი რეგულირდება დსთ-ის 1994 წლის მრავალმხრივი შეთანხმებით „თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ“. საქართველო ასევე არის დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის (სუამის) ფარგლებში მოქმედი „თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ“ 2002 წლის მრავალმხრივი შეთანხმების მონაწილე ქვეყანა.

ამ დროისთვის საქართველოს მთავრობა ანალოგიური შეთანხმების ინდოეთთან გაფორმებაზე მუშაობს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ფედერაციასა და თურქეთთან არსებული თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ითვალისწინებს გამონაკლისებს, რომლებიც თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიდან გარკვეული სახის საქონლის ამოღებას გულისხმობს.

**2. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)**

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა და 2014 წლის 18 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა „ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, რომლის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ შეთანხმება (DCFTA), რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის სექტემბრიდან.

DCFTA ძალიან ამბიციური შეთანხმებაა და ის ხელისუფლების მიერ მრავალი რეფორმის განხორციელებას გულისხმობს. მაგრამ ევროკავშირი საქართველოსაგან არ ითხოვს მისი ბაზრის ყველა წესის ათვისებას რამდენიმე თვის განმავლობაში, რა თქმა უნდა, გარკვეული წლები დაჭირდება მის სრულ განხორციელებას და ბევრ სფეროში გარდამავალი პერიოდი გათვალისწინებული, თუმცა ის სიკეთეები თვალსაჩინო გახდება, რაც DCFTA-ის სრულ ამოქმედებას მოჰყვება.

DCFTA საქართველოს საშუალებას აძლევს ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან შემდეგი სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისგან განსხვავებით DCFTA როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას გულისხმობს. გარდა ამისა, DCFTA საქართველოს ვაჭრობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივ დაახლოებას, ჰარმონიზაციას ითვალისწინებს.

საქართველო ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს შორისა, რომელთანაც ევროკავშირს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს. ტრადიციულად, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ სტანდარტული შეთანხმებები ითვალისწინებს საქონლისა და მომსახურების ბაზრების ორმხრივ გახსნას, მაგრამ ამ შეთანხმებას "ღრმა და ყოვლისმომცველი" იმიტომ ეწოდება, რომ ის ბევრად უფრო მეტ საკითხს მოიცავს და მიზნად ისახავს აღმოფხვრას "საზღვრის მიღმა" არსებული დაბრკოლებები ვაჭრობისათვის, რითაც საქართველოსათვის ნაწილობრივ გაიხსნება/ გაფართოვდება ევროკავშირის შიდა ბაზარი.

**DCFTA მოიცავს შემდეგ თავებს:**

1. საქონლით ვაჭრობა;
2. ვაჭრობაში დაცვითი ზომები;
3. ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება;
4. სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები;
5. საბაჟოსა და ვაჭრობის ხელშეწყობა;
6. დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია;
7. მიმდინარე გადახდები და კაპიტალის მოძრაობა;
8. საჯარო შესყიდვები;
9. ინტელექტუალური საკუთრების უფლებები;
10. კონკურენცია;
11. ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერჯეტიკის სფეროში;
12. გამჭვირვალობა;
13. ვაჭრობა და მდგრადი განვითარება;
14. დავების მოგვარება;
15. დაახლოების ზოგადი დებულებები;

**„DCFTA-საქართველო“ ზომების ანგარიშგამოცხადება და სარგებლობა**

DCFTA მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქართველოს პროდუქციის კონკურენტუნარიანობასა და საინვესტიციო გარემოს, რომელიც ხელს შეუწყობს უფრო მეტი სტაბილური, პირდაპირი, უცხოური ინვესტიციების (FDI) მოზიდვას. ეს კი, თავის მხრივ დადებით გავლენას იქონიებს საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე.

მნიშვნელოვანია ისიც რომ შეთანხმების მიხედვით, არა მხოლოდ საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ნაკადების ზრდაა გათვალისწინებული, არამედ ბაზრის განვითარება, მომხმარებელთა დაცვა, პროდუქციის ხარისხის ამაღლება, კანონმდებლობისა და სტანდარტების თანდათანობით დაახლოება.

ევროკავშირის ვაჭრობასთან დაკავშირებული მარეგულირებელი სტანდარტები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამოიყენება და ბუნებრივია, ამ სტანდარტების დაცვა ხელს შეუწყობს საქართველოს, ივაჭროს არამხოლოდ ევროკავშირთან, არამედ სხვა მნიშვნელოვან პარტნიორებთან.

თავისუფალი სავაჭრო სივრცე შეძლებისდაგვარად ხელს შეუწყობს საქართველოს თანდათანობით ინტეგრაციას ევროკავშირის შიდა ბაზარზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქართული საქონელი და მომსახურება ეტაპობრივად მიიღებს დაშვებას ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფო შესყიდვებში. ევროკავშირის შიდა ბაზრის საქართველოზე განვრცობა სარგებელს მოუტანს:

**აღმოსავლური და უსხოვრებელი ინვესტიციებისა და მენეჯმენტის:** უფრო მკაფიოდ განსაზღვრული საკანონმდებლო ჩარჩოები გააჩენს ნდობას, ასევე სამართლიან და ბიზნესისათვის ხელსაყრელ გარემოს და შეამცირებს კორუფციის რისკებს (მაგ. კონკურენციის გამჭვირვალე წესების მეშვეობით);

**მომხმარებლებს:** ვინაიდან შიდა ბაზრის წესები შემოიტანს თანამედროვე სტანდარტებს სამრეწველო პროდუქციისა და სურსათის უვნებლობის სფეროში, ის უზრუნველყოფს პროდუქციის უკეთეს ხარისხს;

**გამომომხმარებლებსა და ხალხს:** ვინაიდან მათი იდეები და კრეატიულობა უკეთ დაჯილდოვდება ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის უფრო მაღალი სტანდარტების წყალობით;

**საინვესტიციო და ადგილობრივი ხელისუფლებას:** ვინაიდან კონკურენციისა და გამჭვირვალობაზე დაფუძნებული საჯარო ტენდერების სისტემის წყალობით მათი ხარჯები უფრო ეფექტური იქნება და შესაბამისად, დაიზოგება გადასახადების გადამხდელთა ფული.

**ბაზრის მასსნა -** ქართულ მწარმოებლებსა და ექსპორტიორებს შესთავაზებენ თავისუფალ წვდომას ევროკავშირის ბაზარზე, 500 მილიონზე მეტი, მაღალი შემოსავლის მქონე მომხმარებელი.

**ინვესტიციების წახალისება:** DCFTA ხელს შეუწყობს ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას და ინვესტიციების მოზიდვას. გაძლიერებული პროგნოზირებადი სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემო დიდად გაზრდის საქართველოს, როგორც ეკონომიკური პარტნიორის, მიზიდველობას. ეს ხელს შეუწყობს საქმიან კონტაქტებს ბიზნესის სფეროში და წახალისებს საგარეო და საშინაო ინვესტიციებს.

**შედეგები ქართულ მომხმარებლებს:** არსებული საბაჟო ტარიფებისა და მარეგულირებელი ბარიერების თანდათანობით გაუქმებით გაიზრდება მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი პროდუქტებისა და მომსახურების სახეობები და ხარისხი. ამას გარდა, ბაზარზე დაშვების ლიბერალიზაციიდან გამომდინარე კონკურენტული ზეწოლა ხელს შეუწყობს სპეციალიზაციას, რაც ამცირებს ღირებულებას და ხელს უწყობს ინოვაციას. უკეთესი პროდუქტები აუმჯობესებს ცხოვრების საერთო ხარისხს.

**DCFTA-ს საშუალებით პირდაპირი უსხოვრებელი ინვესტიციები (პუი) მოზიდვა:**

1. საქართველოში წარმოების ბევრად დაბალმა ხარჯებმა, შემდეგ კი სავაჭრო ბარიერების გარეშე უკან ევროკავშირში ექსპორტზე შესვლამ შესაძლებელია ხელი შეუწყოს ევროკავშირის ქვეყნებიდან პუი-ის მოზიდვას და

2. შესაძლებელია პუი-ის მოზიდვა ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან, რომელთაც არ აქვთ გაფორმებული DCFTA ევროკავშირთან. ინვესტიციები ამ ქვეყნებიდან შეიძლება დაინტერესდნენ საქართველოს, როგორც „საექსპორტო პლატფორმის“, გამოყენებით;

**3. სურსათის უვნებლობა. სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები ღრმა და ყოვლისმომხვევი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაში**

შეთანხმება გულისხმობს სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ღონისძიებებს დაქვემდებარებული პროდუქციით ვაჭრობის ხელშეწყობას და ამავდროულად, ადამიანების, ცხოველებისა და მცენარეების ჯანმრთელობის დაცვას შემდეგი ღონისძიებებით:

- ვაჭრობასთან დაკავშირებული სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებების სრული გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
  - საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან;
  - ცხოველთა და მცენარეთა ჯანმრთელობის სტატუსის აღიარება და რეგიონალური პრინციპის დანერგვა;
  - საქართველოსა და ევროკავშირს შორის სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებების გატარებისას თანამშრომლობის გაღრმავება.
- ხელშეწყობით გათვალისწინებული ვალდებულებები და სარგებლობა:**
- შეთანხმებიდან გამომდინარე, საქართველოს მხარე ვალდებულია იღებს, მოახდინოს საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და დაახლოება შესაბამის ევროპულ სანიტარულ და ფიტოსანიტარულ კანონმდებლობასთან. ამ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ, 6 თვის ვადაში საქართველომ უნდა შეიმუშაოს იმ ევროპული საკანონმდებლო აქტების ნუსხა, რომელთაც მოხდება ქართული კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება.
  - შეთანხმების მიხედვით, დაახლოების სია უნდა იყოს დაყოფილი პრიორიტეტების მიხედვით და დროში გაწერილი, რაც ხელს შეუწყობს როგორც ერთი პროდუქტით, ასევე პროდუქტების ჯგუფით ვაჭრობას მხარეებს შორის.

➤ საკანონმდებლო დაახლოება ქვაკუთხედი საქართველოსა და ევროკავშირს შორის სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციით ვაჭრობისას. აღნიშნულის მიღწევა საფუძველი იქნება ქართული მარეგულირებელი სისტემის ევროპულ რეგულაციებთან ექვივალენტობის დადგენისას.

➤ ექვივალენტობის დადგენა შესაძლებელი იქნება ერთ ღონისძიებაზე, ღონისძიებათა ერთობლიობაზე, ან სისტემაზე, რომელიც ეხება სექტორს, ქვე-სექტორს, კონკრეტულ პროდუქტს ან პროდუქტების ჯგუფს. ექვივალენტობის ფორმალურად აღიარების შემდეგ, მისი დანერგვა მოხდება მხარეებს შორის ვაჭრობაში. გადაწყვეტილება ექვივალენტობის აღიარების შესახებ შესაძლოა გამოიხატოს საბაჟო გამშვებ პუნქტებზე ტვირთის ფიზიკური შემოწმების შემცირებით, აგრეთვე სერთიფიკატების და საწარმოების ექსპორტიორთა სიაში შეტანის პროცედურების გამარტივებით.

ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება საქართველოს მისცემს შესაძლებლობას, გააუმჯობესოს საკუთარი სანიტარიული და ფიტოსანიტარიული, ცხოველთა კეთილდღეობის კანონმდებლობა, შეინარჩუნოს ვეტერინარული კეთილსაიმედოობა, დაიცვას ქვეყნის ტერიტორია მავნე ორგანიზმების შემოჭრისა და გავრცელებისგან, მიაღწიოს ევროპული რეგულირების ექვივალენტურ დონეს, რაც საშუალებას მისცემს ქართულ წარმოებას ცხოველური და მცენარეული წარმოშობის პროდუქციით ევროკავშირთან ივაჭროს გამარტივებული წესით.

სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სისტემის გაუმჯობესება და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება გაზრდის ქართული პროდუქციის ხარისხს და ამაღლებს მის სანდობას მსოფლიო ბაზარზე, რაც ხელს შეუწყობს ქართული ექსპორტის ზრდას. გარდა ამისა:

- ქართველ მომხმარებელს მიეწოდება უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტი;
- შემცირდება ქართველი ექსპორტიორებისათვის ექსპორტთან დაკავშირებული ხარჯები;
- მოხდება სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მოდერნიზება;
- ამაღლება ქართული აგრარული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის 1 სექტემბრიდან ევროკავშირიდან საქართველოში იმპორტირებულ პროდუქტზე საბაჟო გადასახადი გაუქმდა. გადასახადები ასევე გაუქმდა საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებულ პროდუქტებზეც.

ევროკავშირის ბაზარზე შესატანად ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. დაბალი რისკის სურსათი (მაგალითად, სხვადასხვა ხილი და ბოსტნეული) შედარებით უფრო მარტივად შევა ევროკავშირის ბაზარზე, ვიდრე მაღალი რისკის (მაგალითად, ხორცისა და რძის პროდუქტები) სურსათი. გადამუშავებული და მაღალი რისკის სურსათის გასატანად საქართველომ სამი მთავარი მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს:

- პროდუქტის შემადგენლობა უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მოთხოვნებს;

➤ ექსპორტის მსურველს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია როგორც პროდუქტის წარმოების სრული ჯაჭვის, ასევე საკუთარი პროდუქტის უვნებლობის დასადგენად ჩატარებული შესაბამისი ლაბორატორიული კვლევების შესახებ;

➤ საქართველოში უნდა ფუნქციონირებდეს ევროკავშირში არსებული კონტროლის მექანიზმის (ინსპექტირება, ზედამხედველობა, მონიტორინგი და ა.შ.) მსგავსი სისტემა.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საფეხურები სურსათის ევროკავშირში ექსპორტირებისათვის:

- სურსათის მწარმოებელ საწარმოდ აღიარება და რეგისტრირება;
- საწარმოს ზოგადი ჰიგიენის წესების დაცვით მოწყობა;
- HACCP-ს პრინციპებზე დაფუძნებული სისტემით მიკვლევადობის ჯაჭვის აწყობა;
- საქართველოს ევროკავშირთან საკანონმდებლო დაახლოება, ქვეყანაში არსებული რეალობის გათვალისწინებით;
- ევროკავშირში არსებული კონტროლის სისტემის მსგავსი სისტემის შექმნა საქართველოში;
- მეწარმეების მიერ ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისი სურსათის წარმოება;
- შემოწმების საფუძველზე სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ დადებითი დასკვნის გაცემა პროდუქტის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ;

აღსანიშნავია, რომ საწარმოებს შეუძლიათ ინდივიდუალურად მოიპოვონ (და არ დაელოდონ მთლიანი სექტორის ექვივალენტობის აღიარებას) ევროკავშირში მაღალის რისკის სურსათის ექსპორტის უფლება, იმ შემთხვევაში, თუ:

- საწარმო დააკმაყოფილებს გადამუშავებული პროდუქტის უვნებლობისა და ჯანმრთელობის შესახებ ევროკავშირის მოთხოვნებს;
- საწარმო აწყობილი იქნება ევროკავშირის მოთხოვნების თანახმად;
- სურსათის ეროვნული სააგენტო შეიმუშავებს ასეთი საწარმოების სიას და ევროკავშირს წარუდგენს გარანტიებს, რომ ეს კომპანიები აკმაყოფილებს ევროკავშირში არსებულ უვნებლობისა და ჯანმრთელობის მოთხოვნებს.

სურსათის სფეროსთან დაკავშირებით საქართველოში არსებობს შემდეგი სერტიფიკატები:

**ჰიბიენური სერტიფიკატი** - სურსათის ტარის უვნებლობის ჰიგიენურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დოკუმენტი, აღნიშნული სერტიფიკატი არ არის სავალდებულო და გაიცემა იმპორტიორი მხარის მოთხოვნის საფუძველზე;

**ვეტერინარული სერტიფიკატი** - ვეტერინარული კეთილსაიმედოობის დამადასტურებელი დოკუმენტი. სერტიფიკატი გაიცემა ცოცხალ ცხოველებზე და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე. ვეტერინარული სერტიფიკატი ადასტურებს იმას, რომ ცოცხალი ცხოველი ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტი შეესაბამება იმპორტიორი მხარის მიერ დაწესებულ ვეტერინარულ და ჰიგიენურ მოთხოვნებს.

➤ **ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი** – დოკუმენტი გაიცემა მცენარეებზე ან/და მცენარეულ პროდუქტზე და ადასტურებს, რომ მცენარე ან/და მცენარეული პროდუქტი აკმაყოფილებს ფიტოსანიტარიული უსაფრთხოების მოთხოვნებს. ფიტოსანიტარიული ზომა - პროცედურა, რომელიც გამოიყენება საკარანტინო მავნე ორგანიზმების შემოჭრის ან/და გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

აღნიშნული სერტიფიკატები გაიცემა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ, შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიების მიერ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე.

**ევროკავშირი ექსპორტის უფლების მოსაკრებელი პროცედურები:**

- სურსათის ეროვნული სააგენტო (სეს) წარადგენს ოფიციალურ განაცხადს ევროკომისიის ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის გენერალურ დირექტორატში (DG SANTE);
- DG SANTE სეს-ს უგზავნის კითხვარს, რომელიც კანონმდებლობას, სეს-ის შესაძლებლობებს, ჰიგიენას და სხვა ელემენტებს ეხება;
- სეს-ი ავსებს კითხვარს და DG SANTE-ს უგზავნის;
- აღიარებისთვის, ამავე ეტაპზე, სეს-მა ევროკომისიას უნდა წარუდგინოს ნარჩენების მონიტორინგის გეგმა;
- წარდგენილი ინფორმაციის შეფასების შემდეგ ევროკომისიას შეუძლია ადგილზე შემოწმების განხორციელება. ადგილზე შემოწმება სავალდებულოა მაღალი რისკის პროდუქტების მიმართ;
- ამ პროცედურების შემდეგ DG SANTE წარადგენს რეკომენდაციას, რომ ქვეყანა დაემატოს მესამე ქვეყნების პოზიტიურ სიას, ასევე წარადგენს სეს-ის მიერ გადაგზავნილ აღიარებული საწარმოების ნუსხას;
- ბოლო ეტაპზე კი გადაწყვეტილებას ყველა წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელი იღებს.

ევროკავშირის მცენარეთა დაცვაზე ორიენტირებული კანონმდებლობა მიზნად ისახავს ნარგავების, ხილის, ბოსტნეულის, ყვავილების, დეკორატიული და ველური მცენარეების დაცვას მავნებლებისა და დაავადებებისგან. ამისათვის ევროკავშირი ახდენს ასეთი ორგანიზმების ევროკავშირის ტერიტორიაზე შემოსვლის პრევენციას. ამ მიზნის საფუძველია ევროსაბჭოს 2000/29/EC დირექტივა, ზოგადი პრინციპები კი დაფუძნებულია საერთაშორისო მცენარეთა დაცვის კონვენციის დებულებებზე. 2000/29/EC დირექტივაში, წარმოდგენილია იმ მავნე ორგანიზმების ჩამონათვალი, რომლებზედაც ხორციელდება სპეციფიკური საკონტროლო ზომები. ეს ზომები შესაძლოა მიმართული იყოს იმ მავნე ორგანიზმებზეც, რომლებიც არ არიან ამ ჩამონათვალში, მაგრამ აქვთ პოტენციური საფრთხე. ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში მავნე ორგანიზმების აღმოჩენის შემთხვევაში, ეს ქვეყანა ვალდებულია აცნობოს კომისიას და სხვა წევრ სახელმწიფოებს აღნიშნულის თაობაზე, ასევე იგი ვალდებულია აღმოფხვრას ან თავიდან აიცილოს მავნე ორგანიზმების გავრცელება.

2019 წლის 14 დეკემბერს უქმდება 2000/29/EC დირექტივა, რომლის შემდეგაც იგი ჩანაცვლდება ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს (Regulation (EU) 2016/2031) რეგულაციით. აღნიშნული რეგულაცია ეხება მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ დამცავ ზომებს. ახალი წესები მიზნად ისახავს მცენარეთა ჯანმრთელობის რეჟიმის განახლებას, ევროკავშირის ტერიტორიისა და მისი მცენარეების დაცვისთვის უფრო ეფექტური ზომების მიღებას, ასევე გამიზნულია უსაფრთხო ვაჭრობის უზრუნველყოფასა და მცენარეთა ჯანმრთელობაზე კლიმატის ცვლილების გავლენის შემცირებაზე. ამ ახალი მიდგომით ისარგებლებენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები:

- **ფინანსები** - გამარტივებული და უფრო გამჭვირვალე დოკუმენტაცია (მცენარეთა პასპორტი), პროდუქციის უკეთესი დაცვა და მეტი ფინანსური დახმარება მავნებლებთან ბრძოლაში;
- **სხვა ბიზნეს ოპერატორები** - ოპერატორების საერთო რეგისტრი და ჰარმონიზებული მიკვლევაობა.

ევროკავშირის შემუშავებული აქვს მცენარეთა ჯანმრთელობის შესახებ შეტყობინების სისტემა „ევროფიტი“ (EUROPHYT - European Phytosanitary), რომელიც წარმოადგენს შეტყობინებისა და სწრაფი განგაშის სისტემას, და აგვარებს მცენარეთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ბოლო ათწლეულებში გაზრდილია ვაჭრობამ გამოიწვია ახალი მავნებლების ევროკავშირის ტერიტორიაზე შემოსვლის რისკების გაზრდა. მავნებლებისთვის სასურველი გარემო პირობები და ბუნებრივი მტრის არარსებობა ხელს უწყობს მათ სწრაფ გავრცელებას და შესაბამისად, იწვევს გარემოს დაზიანებას, ბუნებრივი ადგილობრივი ჯიშების განადგურებას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მნიშვნელოვან ეკონომიკურ დანაკარგს და პესტიციდების გამოყენების ზრდას. გამომდინარე აქედან ამ მავნებლების შემოსვლისა და გავრცელების წინააღმდეგ დაუყოვნებლივ უნდა გატარდეს შესაბამისი ზომები. ევროფიტი არის ინტერნეტზე დაფუძნებული ქსელი და მონაცემთა ბაზა, რომლის ძირითადი მახასიათებლებია:

- **თვითის საზღვარზე შეკავების შემოხიზნება:** ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და შვეიცარიის მცენარეთა ჯანდაცვის ორგანოებს პირდაპირი ვებ-ლინკის საშუალებით, ევროფიტის სისტემაში ელექტრონულად შეჰყავთ მონაცემები იმ შეკავებების შესახებ, რომლებიც განახორციელეს შეუსაბამო ტვირთებთან მიმართებით
- **სწრაფი განგაშის სისტემა:** ევროფიტი დაუყოვნებლივ ატყობინებს მცენარეთა დაცვის ორგანოებს ყოველი შეკავების შესახებ. თუ კი ტვირთის შეკავება მოხდა ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან შემოსული იმპორტის შემთხვევაში ამ ტვირთის ექსპორტიორი ქვეყნის შესაბამის ორგანოებსაც ეგზავნებათ იგივე შეტყობინება.

➤ **მონაცემთა ბაზა და საინფორმაციო სისტემა:** ყველა შეტყობინება განთავსებულია სტრუქტურირებულ ბაზაში. ევროფიტის ქსელის წევრებს აქვთ სრულყოფილი წვდომა ამ ბაზასთან და შეუძლიათ დაამუშაონ ინფორმაცია სტატისტიკურად

➤ **ანგარიშები:** სხვადასხვა მომხმარებლებისთვის მზადდება სხვადასხვა ტიპის სტანდარტული ყოველკვირეული, ყოველთვიური, და ყოველ-წლიური ანგარიშები

საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ასევე ევროპული და ხმელთაშუა ზღვის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციასთან (EPPO), რომელიც სამთავრო-ბოთაშორისო ორგანიზაციაა და უზრუნველყოფს მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კოოპერაციას ევროპასა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონში. ორგანიზაცია 1951 წელს 15 წევრი სახელმწიფოს მიერ შეიქმნა, რომელსაც საქართველო დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით 2015 წელს შეუერთდა.

**EPPO-ს მიზნები:**

- სასოფლო-სამეურნეო, ტყისა და დაუმუშავებელი ტერიტორიების მცენარეთა დაცვა;
- საერთაშორისო სტრატეგიის შემუშავება მავნებლების შემოსევისა და გავრცელების წინააღმდეგ, რომლებიც აზიანებენ როგორც დამუშავებულ, ისე დაუმუშავებელ ტერიტორიებს, ბუნებრივ და სასოფლო-სამეურნეო ეკოსისტემას;
- ფიტოსანიტარიული რეგულაციების ჰარმონიზაციის ხელშეწყობა;
- თანამედროვე, უსაფრთხო და ეფექტური კონტროლის მეთოდების გამოყენების ხელშეწყობა;
- მცენარეთა დაცვის დოკუმენტაციების მომზადება.

DCFTA-ს სრული განხორციელება საშუალებას მისცემს საქართველოს თავისუფლად ივაჭროს ევროკავშირთან და უზრუნველყოს ადამიანის და ცხოველის ჯანმრთელობისა და მცენარის სიჯანსაღის დაცვა.



კრებულის შედგენაზე მუშაობდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, „სურსათის ეროვნული სააგენტოს“, მცენარეთა დაცვისა და საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის და არასამთავრობო ორგანიზაციის "ფიფლ ინ ნიდ - საქართველო" თანამშრომლები;



**ქრებულში გამოყენებული ლიტერატურა და კანონმდებლობა**

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) „პესტიციდების განაწილებისა და გამოყენების საერთაშორისო კოდექსი“;
- საქართველოს კანონის „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“;
- „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მარკირების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის დადგენილების შესაბამისი - №427 ტექნიკური რეგლამენტი;
- „პესტიციდების და აგროქიმიკატების შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და გამოყენების წესების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის დადგენილების შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტი № 451;
- ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების და პესტიციდების ექსპორტ-იმპორტის წესისა და წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 ივნისის დადგენილების შესაბამისი № 263 წესი;
- საქართველოს კანონი სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი;
- „საქართველოში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის დადგენილების შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტი № 443